ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“+
ნობელი
8 ლარი
6 დეკემბრიდან




სამშაბათი, 6 დეკემბერი, 2011 №289 (5669) ფასი: 30 თეთრი

# მაკა ასათიანი კიწმარიშვილს ფულის მითვისებაში ადანაშაულებს



გვ. 2

## სოზარ სუბარი: ქართული პარტია ოქტომბრის თვეში დავტოვე

არ შეიძლება პარტიას ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე ლიდერი ჰყავდეს



გვ. 3



## ალეკო შალამბერიძე: რუსეთში ჩატარებული არჩევნები საქართველოზეც იქონიებს გავლენას

გვ. 4

## აკაკი მინაშვილი: რუსეთის პოლიტელიტამ რუსულ საზოგადოებას იმედი გაუცრუა

გვ. 6




## ტულუშა მურთაზ ზოდელავას რეაგირებისთვის პატიმრის წერილი გადასცა



გვ. 5

## ლაშა ჩხარტიშვილი სტრასბურგში ჩივის

გვ. 5

ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებზე გამოჩენა პატიმრობით სრულდება!



## ბიძინა ივანიშვილმა ამერიკული ლობისტური კომპანია დაიქირავა



გვ. 2

## კალანდაძეს რუსეთში ჩატარებული არჩევნების არ სჯერა



გვ. 7



## ცაგარეიშვილი ხელისუფლებას „ზურგსუკან მოთათბირე“ არტიების დასახელებისაკენ მოუწოდებს

გვ. 3

ISSN 1987-9385

3 მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

4 კოკოითი ძალაუფლებას არ თმობს
ჯიოევამ ინაუგურაციის თარიღი დანიშნა

6 ლაღიძე აქციებს საელჩოების წინ მოაწყობს

7 „ქართული პარტია“ გადარჩენისთვის იბრძვის
რა კავშირი აქვს ოქრუაშვილს ებრალიძესთან

# მაკა ასათიანი კიწმარიშვილს ფულის მითვისებაში ადანაშაულებს

ნათია ხურცილავა

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ „მაესტროს“ ერთ–ერთი დამფუძნებლის მაკა ასათიანის განცხადება გაავრცელა.**

განცხადებაში ნათქვამია იმ მიზეზებზე, რომელიც გასულ კვირას ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარდა. – ყველაფერი დაიწყო 2010 წლის აგვისტოდან, როდესაც ტელეკომპანია „მაესტროს“ მართვის კომპანიაში მაკა ასათიანის ხელშეწყობით დაიწყო თანხების ინვესტირება (აქვე აღვნიშნავთ, რომ მაკა ასათიანი დამფუძნებელი გახდა მხოლოდ 2011 წლის აპრილში გიორგი გაჩეჩილაძისგან წილის შეძენის გზით). 2011 წლის აგვისტოში, როდესაც მაკა ასათიანმა მიიღო ინფორმაცია მამუკა ღლონტისგან და ილია კიკაბიძისგან ფინანსების თაობაზე, „რუსთავის მედიის მართვის კომპანიისგან“ მოთხოვნილი იქნა მისთვის გადარიცხული თანხების ანგარიში-შედარება. აღმოჩნდა, რომ ეროსი კიწმარიშვილს სისტემატიურად, დროის გარკვეულ მონაკვეთში ინვესტირებული თანხების გაბერვის გზით, მოპარული ჰქონდა დაახლოებით 500 ათასი აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხა, რაც მან დაუყოვნებლივ აღიარა და შეპირდა დამფუძნებლებს და კონკრეტულად მაკა ასათიანს, რომ ამ თანხას დააბრუნებდა უახლოეს მომავალში. ამ საუბარს ესწრებოდა მაკა ასათიანის მეუღლე კოტე გოგელიაც, რომელმაც შეიტყო რა მოპარული თანხების თაობაზე, დაუყოვნებლივ მოითხოვა მისი დაბრუნება, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში ასევე საუბარია იმაზე, რომ კიწმარიშვილი მასზე დაკისრებულ მოვალეობას გაურბოდა. ასევე საუბარია იმაზე, რომ მაკა ასათიანმა როგორ გადაიხადა 3 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ ტელეკომპანია ეთერში გასულიყო.

– ეროსი კიწმარიშვილი სისტემატურად ჰპირდებოდა დამფუძნებლებს, რომ ის მოიტანდა ამ თანხებს, თუმცა უშედეგოდ. ის ყოველთვის გაურბოდა მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. განმიმარტა, რომ სანამ ის არ მოიტანდა მოპარულ თანხებს, არც ერთ თეთრს არ მიიღებდა მართვის კომპანია დაფინანსების სახით, რამაც გამოიწვია ეროსის ჯიბის დაცარიელება და ტელეკომპანია „მაესტროსთვის“ ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობა. ამას მოჰყვა მთელი რიგი სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ მოიტანდა თანხებს იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის პირობები იქნებოდა გადახედილი და აყენებდა ახალ, მისთვის სასურველ მოთხოვნებს. ტელეკომპანიის ფუნქციონირება რომ არ შეწყვეტილიყო, მაკა ასათიანმა, როგორც დამფუძნებელმა, გადაწყვიტა პირდაპირი დაფინანსების გზით მოეხდინა „მაესტროს“ ნორმალური მაუწყებლობა, რაც გამოიხატა როგორც ტექნიკის შეძენაში, ასევე ტელეკომპანიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ სხვა დაფინანსებაში, რამაც დღეის მდგომარეობით საბოლოო ჯამში გადააჭარბა 3 მილიონ აშშ დოლარს. ამდენად, ეროსი კიწმარიშვილის მიმართვა ჟურნალისტებისადმი, რომ ის უხდიდა ფულს, თავი რომ დავანებოთ ჟურნალისტების მიმართ გამოხატულ შეურაცხყოფას, ამორალურია. იმის ნაცვლად, რომ ეროსი კიწმარიშვილს დაებრუნებინა ეს თანხები, ან მოეხმარებინა ტელეკომპანია „მაესტროსთვის“, განაცხადა, რომ საჭიროა ტელეკომპანიაში შტატების შემცირება და ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკის გატარება, რაც ბუნებრივია, მიუღებელი იყო „მაესტროს“ დამფუძნებლებისთვის. – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებაში საუბარია „მაესტროში“ განვითარებული სკანდალის შესაძლო მიზეზებზეც.

– მიხვდა რა ეროსი კიწმარიშვილი, თუ რა საშიშროების წინაშე იდგა, რომ მას უკვე მოპარული და გაფლანგული ჰქონდა ეს თანხები, გადაწყვიტა მისთვის ჩვეული თაღლითური ხერხებისთვის მიემართა და სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით შეეკრა ხელისუფლებას, დაგეგმა დანაშაულებრივი ქმედება. კერძოდ, ტელეკომპანია „მაესტროში“ შეიჭრა და „იმედი 2“-ის სცენარი გაითამაშა. ბუნებრივია, ეროსი კიწმარიშვილი „მაესტროს“ ლობეზე გადაძრომას და ტელეკომპანიაში შეჭრას ვერ გაბედავდა, თუ არა მისი წინასწარი ალიანსი-გარიგება ხელისუფლებასთან, რისი ნათელი მაგალითიც არის ტელეეთერში გასული კადრები, თუ როგორ აძლევს ეროსი კიწმარიშვილი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს და უშუალოდ მათ უფროსს გრიგალაშვილს მითითებებს, ვინ სად უნდა განლაგებულიყო, ასევე თუ როგორ ასრულებდნენ მის ბრძანებებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ჟურნალისტების არშეშვებასთან დაკავშირებით, – ნათქვამია განცხადებაში.


მაკა ასათიანი

განცხადებაში ნათქვამია, რომ ეროსი კიწმარიშვილს ტელეკომპანია 2010 წლის აგვისტოდან არ დაუფინანსებია. განცხადებაში ასევე საუბარია მიზეზებზე, რატომ გაუწყვეტდნენ ვადაზე ადრე ხელშეკრულებას ეროსი კიწმარიშვილს.

– მოცემული მტკიცებულებები გვაძლევს დასაბუთებული ეჭვის ვარაუდს – ეროსი კიწმარიშვილი ჩავარდა რა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, ხელისუფლებასთან გარიგებით მოინდომა უკვე მოპარული ფულის უკან დაბრუნების გამორიცხვა და უფრო მეტიც, დამფუძნებლების და კონკრეტულად მაკა ასათიანის მიერ ინვესტირებული ფულით შეძენილი ქონების დაპატრონება-მითვისება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეროსი კიწმარიშვილს 2010 წლის აგვისტოდან არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს ტელეკომპანია „მაესტროში“ (უფრო მეტიც, მისი მივლინებებიც კი მაკა ასათიანის მიერ იყო დაფინანსებული), რაზეც მიეცა არაერთი ზეპირი გაფრთხილება, თუმცა მან არ შეისმინა და დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს საკითხის განხილვა იურიდიულ ჭრილში გადაეტანათ, რაც განხორციელდა კიდეც 2011 წლის 11 ნოემბრიდან. დამფუძნებლებისა და ტელეკომპანიის ადვოკატების მიერ ეროსი კიწმარიშვილს გაეგზავნა არაერთი წერილი და მოეთხოვა მის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, 25-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. ასეთი ვადა გადიოდა 2011 წლის 5 დეკემბერს.

ნაცვლად იმისა, რომ დაეწყო დავალიანების გადახდა და „მაესტროს“ წინაშე ვალდებულებები შეესრულებინა, მან დანაშაულებრივი გზით სცადა „მაესტროს“ მფლობელობაში არსებული ქონების დაუფლება, ეთერის გათიშვა და სხვადასხვა ქსელების გაბმით არსებული ფინანსური ვალდებულებებისგან ქურდბაცაცურად თავის დაძვრენა. ხვდებოდა რა, თუ რა კრახის წინაშე იდგა, ეროსი კიწმარიშვილმა რამდენიმე თვით ადრე გააკეთა განცხადება კოტე გოგელიას „ქართული პარტიიდან“ გარიცხვის თაობაზე, რაც აბსურდია, რადგან კოტე გოგელია არ არის საქართველოს მოქალაქე და ბუნებრივია, ვერ იქნებოდა რომელიმე პარტიის წევრი. შემდგომ გააკეთა განცხადებები ტელეკომპანია „მაესტროში“ მისი თითქოს დარღვეული უფლებების თაობაზე და უფრო მეტიც, შევიდა რა ალიანსში ხელისუფლებასთან, უკანონო ქმედებების განხორციელებით, ღობეზე გადაძრომით და ტელევიზიის შენობის დაკავებით, შეეცადა ვალდებულებების შესრულებისგან თავის არიდებას.

ბუნებრივია, ამ თამაშში ორივე მხარე – ეროსი კიწმარიშვილი და ხელისუფლება მიიღებდა თავისას. ეროსი აიცდენდა ფინანსურ და მოპარული ფულის უკან დაბრუნების ვალდებულებას, ასევე მიიღებდა ახალ თანხებს, რაზეც გაურიგდა ხელისუფლებას, ხოლო ხელისუფლება ირიბად, შენიღბვით მიაღწევდა ტელეკომპანია „მაესტროს“ მაუწყებლობის პარალიზებას, თუმცა ბატონმა ერასტიმ ვერ მოახერხა დავალების შესრულება, რის გამოც აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, – ნათქვამია განცხადებაში.

ასევე საუბარია განცხადებაში „მაესტროს“ განახლებული პირობებით ეთერში გასვლაზე, რომელიც მესაკუთრეების განცხადებით, რამდენიმე დღეში მოხდება.

– „მაესტრო“ გადის ეთერში, უფრო მეტიც, რამდენიმე დღეში მას გაცილებით უკეთესი ფართი ექნება, ვიდრე ჰქონდა. ასევე გაიზრდება საშტატო ერთეული და ხელფასები. ტელეკომპანია აღიჭურვება უახლესი ტექნიკით. რაც შეეხება მოარულ ჭორებს ტელეკომპანიის გაყიდვის თაობაზე, მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ტელეკომპანია „მაესტრო“ არ აპირებს მისი აქტივების და სიხშირის გაყიდვას, რაც წარმოადგენს „მაესტროს“ საკუთრებას და ეროსი კიწმარიშვილს არა ფაქტობრივი, არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ გააჩნია ამ საკუთრებაზე და მისი ნებისმიერი ფორმით განკარგვაზე არც ერთ სუბიექტზე და მსგავსი ტიპის განცხადებები, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. ასევე გვინდა, კატეგორიულად გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ არც მამუკა ღლონტს და არც სხვა დამფუძნებლებს ფინანსებთან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ და არ აქვთ.

მოგიწოდებთ, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ამ თემაზე სპეკულირება. როგორც ვხედავთ, ეროსიმ გადაწყვიტა გადაეგდო მისი დამფინანსებლები ხელისუფლებასთან ალიანსში დანაშაულებრივი ქმედებების წყალობით. გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, საიდანაც ჩვენი ინფორმაციით, ავანსის სახით უკვე მიღებული აქვს გარკვეული თანხები, ყოჩაღად ასრულებდა დაკისრებულ დავალებას, გაეთიშა ტელეკომპანია „მაესტრო“, თუმცა მინდა ვუთხრა, რომ მას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეხმარება და მომავალში დაეხმარება უკანონო ქმედების განხორციელებაში, კანონის წინაშე მოეთხოვებათ პასუხი, ხოლო ბატონი ერასტის მოეთხოვება მოპარული ფულის უკან დაბრუნება მასზე დარიცხული პროცენტებითა და პირგასამტეხლოთი.

ამ ეტაპზე ეს არის. თუ ბატონი ერასტი არ მოიქცევა საკანონმდებლო ჩარჩოებში და უფრო მეტიც, გაამწვავებს არსებულ დავას, უფლებას ვიტოვებთ უფრო მეტი ფაქტები მივაწოდოთ საზოგადოებას მის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლის გამჟღავნებაზეც ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ. აი, რამ გამოიწვია სინამდვილეში ერასტი კიწმარიშვილის ღობეზე გადაძრომა და დემაგოგიური განცხადებების გაკეთება, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ბიძინა ივანიშვილმა ამერიკული ლობისტური კომპანია დაიქირავა

შორენა გონგლაძე

ბიძინა ივანიშვილმა აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონში განთავსებული ლობისტური კომპანია BGR Government Affairs LLC დაიქირავა. „სივილ ჯორჯიას“ ინფორმაციით, ზემოხსენებული ფირმა BGR Group-ის შვილობილია და ევროპაში საქმიანობს.


ბიძინა ივანიშვილი

ინტერნეტ გამოცემის ცნობით, იგივე კომპანია დაიქირავა ზაფხულში ირაკლი ალასანიას პარტიამ, „ჩვენი საქართველო – თავისუფალმა დემოკრატებმა“.

„თავისუფალი დემოკრატების“ მსგავსად, BGR Government Affairs-სთან ივანიშვილს პირდაპირ არ დაუდია კონტრაქტი; შეთანხმება BGR Gabara-ს მეშვეობით გაფორმდა. ეს უკანასკნელი ასევე BGR Group-ში შემავალი ფირმაა, რომელიც ჯგუფის ევროპულ ფილიალს წარმოადგენს; მისი ოფისი ლონდონშია განთავსებული და მის მომსახურებაში შედის მთავრობებთან ურთიერთობების დამყარება, ძირითადად ლონდონსა და ბრიუსელში, ასევე მედიასთან ურთიერთობი მთელი ევროპის მასშტაბით.

BGR Government Affairs-ის მიერ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, გაწეული მომსახურებისთვის ფირმა ყოველთვიურად 25 000 აშშ დოლარს მიიღებს.

კონტრაქტის, რომელიც ძალაში 2011 წლის 21 ნოემბრიდან შევიდა, განახლება, მხარეებს შორის შეტყობინების საფუძველზე ყოველთვიურად მოხდება.

ალასანიას პარტიის მსგავსად, ივანიშვილის შემთხვევაშიც BGR Government Affairs-ი კლიენტს შემდეგი სახის მომსახურებას უწევს: „კონტაქტების დამყარებას აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებთან, მედიასაშუალებებთან და სხვა პირებთან შეერთებული შტატების ფარგლებში... 2012 წლის სამართლიანი, ღია და პატიოსანი არჩევნების მეშვეობით უფრო ძლიერი ქართული დემოკრატიის ხელშეწყობის მიზნით“, – ვკითხულობთ „სივილ.გე“-ს სტატიაში.

„სივილ ჯორჯიას“ ინფორმაციით, საქართველოს მთავრობას ეროვნული უშიშროების საბჭოს მეშვეობით, ამჟამად სამი მოქმედი კონტრაქტი აქვს ვაშინგტონში განთავსებულ ლობისტურ ფირმებთან, მათ შორის Podesta Group-თან; Orion Strategies-ისთან და გრეგორი მანიატისთან (Ithaca Group). ამ კონტრაქტების საერთო მოცულობა 840,000 აშშ დოლარს შეადგენს.

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე დანიელ კოლეგას შეხვდება

2011 წლის 5-8 დეკემბერს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ქართველ მოსამართლეებთან ერთად დანიაში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა.

ვიზიტი ევროპის საბჭოს ორგანიზებულია და მისი მიზანი დანიის სასამართლო სისტემის, და განსაკუთრებით დანიის უზენაესი სასამართლოს მოწყობისა და მუშაობის ძირითადი პრინციპების გაცნობა და გამოცდილების გაზიარებაა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვიზიტის ფარგლებში დანიელ კოლეგასაც შეხვდება. დანიაში კონსტანტნე კუბლაშვილის გარდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჩინჩალაძე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული და საქართველოს სხვადასხვა რაიონული სასამართლოს მოსამართლეები გაემგზავრნენ.

სამუშაო ვიზიტი დანიის კავკასიის პროგრამის მიერ არის ორგანიზებული.

აღნიშნული ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის სასამართლოებს შორის გამოცდილების გაზიარებას და მომავალ ურთიერთთანამშრომლობას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 2-84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოზარ სუბარი: ქართული პარტია ოქტომბრის თვეში დავტოვე

ქეთი ხომერიკი

## არ შეიძლება პარტიას ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე ლიდერი ჰყავდეს




რატომ დატოვა ,,ქართული პარტია" და ვიხილავთ თუ არა ივანიშვილის გუნდში? ამ და სხვა საკითხებზე ,,ახალ თაობას" ,,ქართული პარტიის" ყოფილი თავმჯდომარე სოზარ სუბარი ესაუბრა.

**სოზარ სუბარი:**

– დაახლოებით ოქტომბრის ბოლოდან იცოდნენ, რომ წასული ვიყავი პარტიიდან და არაფერ დაბნეულობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა იყო მცდელობა, თხოვნები, რომ დავრჩენილიყავი პარტიაში, რადგან კარგად იცოდნენ, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას პარტიისთვის, თუმცა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი წასვლა. ჩემი ადგილი აღარ იყო ამ პარტიაში, მაგრამ მქონდა ბევრი მიზეზი, რის გამოც საჯაროდ არ ვამბობდი ამას და ერთ-ერთი იყო ის, რომ პარტიის ყრილობა იყო ჩასატარებელი. და მე ვუთხარი მათ, სანამ არ ჩაატარებთ ყრილობას, არაფერს განვაცხადებ, არ შეგიშლით ყრილობის ჩატარებაში ხელს-მეთქი. ჩემს წამოსვლას შეიძლებოდა ამისთვის ხელი შეეშალა. აი, ეს იყო და ეს.

***– კიწმარიშვილი დარჩენას გთხოვდათ?***

– კიწმარიშვილიც.

***– ქართული პარტია თავდაპირველად ლევან გაჩეჩილაძემ და კოკა გუნცაძემ დატოვეს, შემდეგ კოტე გოგელიამ დატოვა, თუ გარიცხეს, გაურკვეველია, ახლა უკვე მიზეზებზე კი არც ერთი არ საუბრობთ, რატომ? არადა, პარტია დიდი ზარზეიმით დაფუძნდა და ლიდერები ერთად აპირებდით ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ...***

– ბევრი მიზეზი იყო, არ ვაპირებ დაკონკრეტებას, თუმცა მთლიანობაში, რომ ვთქვათ, ქართული პარტიიის ძალაც და სისუსტეც ერთი და იგივე რამ იყო – ბევრი განსხვავებული ლიდერის ერთად ყოფნა. ეს იყო ამ პარტიის ძალაც და სისუსტეც. ის რაც მოკლევადიან დისტანციაზე შეიძლება ყოფილიყო ძალა, გრძელვადიან დისტანციაზე იყო სისუსტე, რადგან ძალიან ბევრი წინააღმდეგობა ხშირად გადაულახავ წინაღობად იქცეოდა ხოლმე. ერთგვარად, რაღაცნაირად, როგორც საარჩევნო ალიანსები იქმნება ხოლმე სხვადასხვა პარტიებისგან, რომლებიც დროებითი მიზნისთვის იქმნება და იშლება, აი, ასეთივე წარმონაქმნი აღმოჩნდა ქართული პარტიაც.

***– ანუ, აზრთა სხვადასხვაობა ლიდერებს შორის იმდენად დიდი იყო, რომ წამოსვლა გადაწყვიტეთ?***

– დიახ.

***– ახლა, რატომ აცხადებს ოქრუაშვილი სუბარი გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა და იმის დაკრულზე ცეკვავს, ვინც ფულს უხდისო? რა შუაშია გოგელია და რას მიაწერთ ოქრუაშვილის ამ განცხადებას?***

– იცით, ეს ზოგადად სენია ქართული პოლიტიკის, ანუ ადამიანები სანამ ერთად არიან, ერთმანეთს არიან გადაფარებულები, აქებენ და საკმარისია დაშორდნენ ერთმანეთს, რომ იწყება ერთმანეთის ლანძღვა-გინება და მე არ ვაპირებ ამ ლანძღვაში ვინმეს ავყვე.

***– ივანიშვილმა პარტიის დატოვება გირჩიათ, თქვენს გადაწყვეტილებაზე ამანაც ხომ არ იმოქმედა? თანაც, ამბობენ, სუბარს ივანიშვილის გუნდში ვიხილავთო...***

– სიმართლე გითხრათ, არ წამიკითხავს სტატია თქვენს გაზეთში, თუმცა სათაური წავიკითხე – სოზარ სუბარი ბიძინა ივანიშვილთან მიდის, მტკიცებითი ფორმით იყო. ეს არ არის სწორი, თუმცა მე, იმას კი არ ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს, შეიძლება მოხდეს, შეიძლება არც მოხდეს, ამაზე ლაპარაკი ჩვენ შორის არ ყოფილა. დიახ, ივანიშვილმა მახსენა რამდენჯერმე, როცა პირველი ინფორმაცია გამოჩნდა, რომ ივანიშვილი აპირებდა პოლიტიკაში შემოსვლას პირველი პოლიტიკოსი, ვინც ძალიან დადებითად შეაფასა და ხმამაღლა მიესალმა, მე ვიყავი, რადგან ვითარება იყო ნათელი. საქართველოში პოლიტიკური პროცესი, პრაქტიკულად, მკვდარი იყო, აღარ იყო დარჩენილი პოლიტიკური ძალა და არც პოლიტიკოსი, რომლის მიმართ ნდობა ყოფილიყო, უფრო სწორად, შეიძლება ნდობა იყო გარკვეული პიროვნებების მიმართ, მაგრამ როგორც პოლიტიკოსის მიმართ, რომელსაც შეუძლია ვითარების შეცვლა ქვეყანში, ასეთი ნდობა აღარ არსებობდა, შესაბამისად, პოლიტიკური პროცესი იყო მკვდარი. ივანიშვილის გამოჩენამ კი გააცოცხლა პოლიტიკური პროცესი ქვეყანში და შეუძლებელი იყო ეს არ გახარებოდა იმ ადამიანს, რომელსაც უნდა ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება. ცხადია, ვიცით ბევრი პოლიტიკოსი, რომელსაც ეს ეწყინა, რადგან მათ ვერ დაინახეს თავისი თავი ამ პროცესში, მაგრამ მე, ასე არ ვუყურებ ამ პრიზმაში ამას. ანუ მე, შემიძლია ძალიან მშვიდად ვიყო განზე, თუკი ვხედავ, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით მიემართება, მაგრამ თუ ვხედავ, რომ ამ პროცესში ჩემი როლის შესრულება შემიძლია, ბუნებრივია, განზე არ გავდგები. ეს არის და ეს, მეტი არაფერი. უბრალოდ, რაღაც პროცესები, იგივე, ჩემი განცხადების გაკეთება და ა.შ. დააჩქარა ეროსი კიწმარიშვილის შეჭრამ მაესტროს ტერიტორიაზე და იქიდან ჟურნალისტების გამოდევნამ.

***– რას ნიშნავს დააჩქარა?***

– დააჩქარა ორი რამის გამო. პირველი – ეს აბსოლუტურად, მიუღებელი ქმედება იყო და შეუძლებელი იყო ჩუმად ვყოფილიყავი, მეორე – პირველი, ვისაც დაურეკა ბაჩო კიკაბიძემ, მაესტროს გენერალურმა დირექტორმა, მე ვიყავი, რაღაც გვიშველე, ასეთი ფაქტი მოხდაო. და იცით, როგორი სიტუაცია იყო სახლიდან გამოვდიოდი, ბავშვები უნდა წამეყვანა სკოლაში და ვიფიქრე, სანამ ბავშვებს მივიყვან და მაესტრომდე მივალ (მე ქალაქის მეორე ბოლოში ვცხოვრობ) ყველაფერი დამთავრდება, რადგან პოლიცია მივა და კანონიერებას აღადგენს-მეთქი და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მივედი და ისევ ისე დამხვდა ყველაფერი. მოგვიანებით კი ცხადი გახდა, პოლიცია რა როლსაც ასრულებდა, როგორ ცალსახად იჭერდა კიწმარიშვილის მხარეს. ჟურნალისტები მოვიდნენ და იქ ვერ ვილაპარაკებდი, როგორც ქართული პარტიის თავმჯდომარე, რადგან აღარ ვიყავი. აქამდე ვახერხებდი, არ ვპასუხობდი ელემენტარულად ზარებს, იქ კი შეუძლებელი იყო ამის გაკეთება და იძულებული ვიყავი, მეთქვა, ის, რაც იყო და არის თვე-ნახევარია რეალობა.

***– ეს ფაქტი რომ არა, ყრილობამდე თავს შეიკავებდით განცხადების გაკეთებისაგან?***

– დიახ, თუმცა ეს ყრილობაც ძალიან უცნაურ ვითარებაშია, რადგან ჯერ აპირებდნენ ჩაეტარებინათ ოქტომბრის ბოლოს და ვფიქრობდი, ოქტომბრის ბოლომდე შევიკავებდი თავს, შემდეგ 7 ნოემბერს დანიშნეს, არ ვაპირებდი ხელი შემეშალა ჩემი განცხადებებით, არც ხელს შევუშლიდი, არც შევუწყობდი და, ახლა კი, ეს რაღაც უაზრო დროით გადადეს.

***– და საერთოდაც, ხომ არ იშლება ქართული პარტია?***

– ქართულ პარტიას ჰქონდა 5 რაიონული ორგანიზაცია, ანუ 2-2 რაიონად გაერთიანებული და ხუთივეს თავმჯდომარემ დატოვა პარტია. კახეთმა, პრაქტიკულად, მთლიანად დატოვა, დასავლეთ საქართველოდან ყოველდღე მიგზავნიან მესიჯებს და მიგზავნიდნენ, სხვათა შორის, ამ შეჭრამდეც, რომ ისინი არ აპირებენ პარტიაში დარჩენას და მოდიან იქ, სადაც მე ვიქნები. სულ ვეუბნებოდი მათ, რომ ეს ძალიან რთული და გაუგებარი იქნება, რადგან თვითონ, არ ვიცი, სად ვარ და თქვენ როგორ მოგიწოდოთ, ან დატოვოთ, ან დარჩეთ-მეთქი, არავისთვის არაფრისკენ მომიწოდებია, თვითონ უნდა გადაწყვიტოს ყველამ, ბუნებრივია.

***– მაესტროს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს რაც შეეხება, ითქვა, ხელისუფლებამ კიწმარიშვილი წაახალისაო...***

– არ ვიტყვი გაურიგდა, არ გაურიგდა, ამაზე შეიძლება საბუთები მჭირდებოდეს, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებას აწყობს და ძალიან კარგად იყენებს ამ ვითარებას და მკაფიოდ და ცალსახად იკავებს კიწმარიშვილის მხარეს, ფაქტია.

***– რით ხსნით ამას? ისე, კიწმარიშვილზე და ოქრუაშვილზე არაერთხელ ითქვა, ხელისუფლების თამაშს თამაშობენო... სწორედ ამაში ხომ არ დარწმუნდით და დატოვეთ ქართული პარტია?***

– არა, ამაში დარწმუნება, ნამდვილად, ძალიან ძნელი იქნება. 26 ადამიანი, რომელიც ქართული პარტიის წევრია, ზოგიც მხარდამჭერია ზის ციხეში და ყველა მათგანი არის ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირი, ანუ ოქრუაშვილის ირგვლივ ვინც ტრიალებდა თავის დროზე. ძალიან ბევრი გაქცეულია და თავს აფარებს და ახლა რომ ვთქვა, ეს ადამიანები გაწირა იგივე ირაკლი ოქრუაშვილმა-მეთქი, ნამდვილად არ მაქვს ამის არანაირი საფუძველი, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, როგორც მინიმუმ, მათი და ხელისუფლების ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს მაესტროსთან მიმართებაში.

***– და თქვენ არ გადაგიწყვეტიათ, სად იქნებით, პოლიტიკაში რჩებით?***

– დიახ, ბუნებრივია, არ გადამიწყვეტია, სად ვიქნები. იცით, პოლიტიკაში დარჩენა, თუ იმას გულისხმობს, რომ მაინცდამაინც, რომელიმე პარტიაში უნდა ვიყო, მაშინ არ ვარ დარწმუნებული ამ გაგებით და სხვა გაგებით, ყველანი პოლიტიკაში ვართ დღეს. ის, რომ ქვეყანში დემოკრატიული ცვლილებები გვჭირდება, ეს არის გარდაუვალი და ამისთვის, რომ კაცი იბრძვი, უკვე პოლიტიკაში ხარ, მათ შორის, ჟურნალისტებიც, არასამთავრობოებიც, ექსპერტებიც.

***– ,,ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე ხართ მიწვეული?***

– არც მიფიქრია ამ თემაზე და არც მქონია რაიმე სახის მოლაპარაკებები.

***– დაბოლოს, სააკაშვილის ნაბიჯებს ივანიშვილის წინააღმდეგ გადადგმულს როგორ აფასებთ? ისე, პრეზიდენტმა დუმილიც დაარღვია და განაცხადა – ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმას არ დაგვაკარგვინებსო... როგორ გენიშნათ პრეზიდენტის რბილი და საკმაოდ მოზომილი განცხადება?***

– რამდენადაც მოზომილი იყო ეს განცხადება, იმდენად მოუზომავია ხელისუფლების ქმედებები, სასწრაფო წესით მოქალაქეობის ჩამორთმევა, ბანკის მანქანის დაყადაღება და ის პიარი, რომელიც აგორდა ივანიშვილის წინააღმდეგ, როგორც რაღაცა რუსეთის იარაღი, და ეს მაშინ, როცა წლების განმავლობაში ივანიშვილი აფინანსებდა უამრავ წარმატებულ პროექტს საქართველოში და რატომღაც არავის გახსენებია მაშინ, რომ ის რუსეთში იყო ნაშოვნი. ეს ყველაფერი არის, არათუ მოზომილი, არამედ ზღვარს გადასული და აბსოლუტურად, ჯდება იმ ქმედებებში, რასაც აკეთებდა ხელისუფლება წლების განმავლობაში. იგივე რაც ხდება მაესტროსთან დაკავშირებით, როცა პოლიცია არის ცალსახა მხარე, ის არ არის არბიტრი, შუამავალი, ის არის მხარე, რომელიც ჟურნალისტებს, მფლობელებს არ აძლევს მუშაობის საშუალებას.

***– თუმცა კიწმარიშვილი აცხადებს, ყველაფრის უფლება მაქვს ხელშეკრულების თანახმადო...***

– ამისთვის არსებობს არა შეჭრა და ჩხუბი, არამედ სასამართლო, თუმცა დღეს, ისე ვითარდება პროცესი, რომ სასამართლოც, როგორც ჩანს, ძალიან საეჭვო როლს შეასრულებს.

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალ მსმენელებს შეხვდა

2011 წლის 3 დეკემბერს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალ მსმენელებს შეხვდა.

სკოლის მსმენელების შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე შეჯამდა კონკურსის შედეგები, ( გასაუბრებაზე 52 კანდიდატი გავიდა), რომლის საფუძველზეც იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მე-8 ჯგუფი დაკომპლექტდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის 8 ახალი მსმენელი სწავლას 5 დეკემბრიდან შეუდგება, ესენი არიან: ნათია ბარბაქაძე, ვალერიან ბუგიანიშვილი, ნათია ბუსკაძე, ნინო ილურიძე, ია ლაბაძე, კახაბერ მაჭავარიანი, ციცინო როხვაძე და მანუჩარ ცაცუა.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა 10 თვის მანძილზე გრძელდება, სწავლება მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ და სასემინარო კურსებს. ახალი მსმენელები იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-8 ნაკადია, რომელიც სკოლაში ჩაირიცხა.

# ცაგარეიშვილი ხელისუფლებას „ზურგსუკან მოთათბირე" არტიების დასახელებისაკენ მოუწოდებს

საპარლამენტო ფრაქციის – „ერთობა სამართლიანობისათვის" – თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი ხელისუფლებას იმ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების დასახელებისაკენ მოუწოდებს, რომლებიც ხელისუფლებას პარლამენტართა რიცხოვნობის გაზრდაზე ხალხის „ზურგსუკან ეთათბირებოდნენ".

ეს განცხადება ცაგარეიშვილმა ფრაქციას, სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.



მისი თქმით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მუდმივად იმაზე აპელირებს, რომ პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდის წინადადება სწორედ ოპოზიციას ეკუთვნოდა.

„ხელისუფლებას მოვუწოდებთ, პირდაპირ დაასახელოს იმ ოპოზიციონერთა სახელები, რომლებსაც ხალხის აზრის გვერდის ავლით, ზურგსუკან ეთათბირებოდა. დროა, გახსნათ ფრჩხილები და ამ პარტიების ლიდერები დაასახელოთ", — მიმართა ცაგარეიშვილმა ხელისუფლებას.

დეპუტატმა ხაზი იმ გარემოებასაც გაუსვა, რომ ხსენებული საკონსტიტიუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის მიერ გამართულ გასვლით შეხვედრებში ხელისუფლება არ აქტიურობდა.

„იმ შეხვედრებში სწორედ უმცირესობის ის წევრები აქტიურობდნენ, რომლებიც ხელისუფლებასთან ერთად ამ ცვლილებების ინიციატორნი არიან. თუმცა მათი არგუმენტები იმდენად სუსტი იყო, რომ კრიტიკას ვერ უძლებდა", — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მან წარმოდგენილი ცვლილებებისადმი მისი ფრაქციის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოხატა და აღნიშნა, რომ მისი ინიცირება რეფერენდუმის შესახებ კანონის სრული დარღვევით და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა, რადგან 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმზე დეპუტატთა რაოდენობის შემცირებასა და არაუმეტეს 150-ით განისაზღვრას მილიონ 600 ათასამდე ადამიანი დაეთანხმა.

შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებით, საქართველოს 2012 წლის მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა 190 წევრით განისაზღვრება. საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის 83 წევრს ეკუთვნის, რომელთა შორის საპარლამენტო უმცირესობის წევრებიც არიან. გიორგი ცაგარეიშვილმა უმცირესობაში ორი „თამამი" დეპუტატი: გოდერძი მარსაგიშვილი და რამაზ თედორაძე გამოჰყო, რომლებმაც საკითხის ინიცირებაში მონაწილეობა არ მიიღეს.

კანონპროექტის თანახმად, პროპორციული სისტემით 107, ხოლო მაჟორიტარული სისტემით 83 დეპუტატი აირჩევა. აღნიშნული ნორმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მორიგი საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან ამოქმედდება.

მედიანიუსი

# მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის მიერ ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დააკავეს მკვლელობისთვის ბრალდებული, 19 წლის ანზორ ემზარის ძე მელქუაშვილი.

საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2010 წლის 15 მაისს, ღამით, გორის რაიონის სოფელ კარალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზიდან დაახლოებით ოთხი კილომეტრის მოშორებით, ბრალდებულმა ანზორ მელქუაშვილმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, გულ-მკერდისა და ყელის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა ტაქსის მძღოლს, ვაჟა ბალიაშვილს და მისი ავტომანქანა გაიტაცა. ვაჟა ბალიაშვილი მიღებული ჭრილობების შედეგად შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. გამოძიების მიერ ვაჟა ბალიაშვილის გვამი ნანახი იქნა შემთხვევის ადგილზე, ხოლო მისი ავტომანქანა დანაშაულის ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრში.

დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 108 მუხლით.

მედიანიუსი

# ალეკო შალამბერიძე: რუსეთში ჩატარებული არჩევნები საქართველოზეც იქონიებს გავლენას

**რუსეთში ჩატარებული არჩევნები მსოფლიო ყურადღების ცენტრშია. ყველა ელოდა, რომ ამ არჩევნებს დიდი უპირატესობით მოიგებდა პუტინის პარტია. ამ თემაზე განსაკუთრებით მწვავე კომენტარებს ჩვენი ხელისუფლება აკეთებდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთში არჩევნები დემოკრატიულად არ ჩატარდებოდა.**


ალეკო შალამბერიძე

თეა მარხვაიძე

დემოკრატიულობის მწვერვალი ეს არჩევნები ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა მოხდა ისე, რომ პუტინმა დუმაში საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა. რასაც ევროპა დადებითად აფასებს. დუმის არჩევნებით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე. რომელიც იმედოვნებს, რომ მომავალ არჩევნებში სააკაშვილიც ვერ შეიყვანს საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში.

რა შედეგებს მოგვიტანს დუმის არჩევნები, მიბაძავს თუ არა ამაში სააკაშვილი პუტინს, ამ თემებზე შალამბერიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

– 4 დეკემბერს რუსეთში ძალიან საინტერესოდ ჩატარდა სათათბიროს არჩევნები. არჩევნების შედეგები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ პუტინი ამ ქვეყნის სათავეში კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება. ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ იქ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. იქ არაფერი არ შეიცვლება. პოლიტიკა უნდა შევცვალოთ ჩვენ. აღარ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებზე. უნდა ვეძებოთ გზები ევროპასთან და რუსეთთან. პუტინი ხელისუფლებაში დარჩა და ამ რეალობის გათვალისწინებით უნდა ვეცადოთ ჩვენი პრობლემების მოგვარებას. რომელსაც სამწუხაროდ რუსეთის გარეშე ვერ მოვაგვარებთ.

***– თქვენ თქვით, რომ არჩევნებმა ნათელი გახადა, რომ პუტინი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება ქვეყნის სათავეშიო. თქვენთვის არაფერს ნიშნავს, რომ მას დუმაში საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ ეყოლება?***

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. მართალია პუტინი რჩება ხელისუფლებაში, მაგრამ რუსეთში ახალი პოლიტიკური ცხოვრება იწყება. არჩევნების დღესვე ნათელი გახდა, რომ სერიოზული ბრძოლა იქნებოდა. პუტინმა ასე რომ ვერ გაილაღა, ძალიან კარგია. ეს პირველ რიგში რუსებისთვის არის კარგი. რაღაცები ნამდვილად შეიცვლება. პუტინი და საქართველოს მიმართ დამოკიდებულება არ შეიცვლება და პუტინიც დარჩება. ამიტომ, როგორც უკვე გითხარით, ამ რეალობაში უნდა ვეძებოთ კონფლიქტის მოგვარების გზები.

***– თქვენ გამუდმებით იმას ამტკიცებთ, რომ სააკაშვილი ერთ-ერთში ბაძავს ვლადიმერ პუტინს. როგორ ფიქრობთ, მიბაძავს თუ არა არჩევნების ჩატარებაში?***

– ჩვენი პრეზიდენტი მართლაც რუსეთის ჯინაზე აკეთებს ყველაფერს. განსაკუთრებით პუტინს ბაძავს. დაინახა როგორ თევზაობდა ის წელზევით ტიტველი, ადგა და ყინვაში ჩახტა ზღვაში. დაინახა დელფინებთან მოცურავე პუტინი, ბათუმის დელფინარიუმში მივიდა და დელფინს პირში უყოფდა თავს. კიდევ ბევრ რაღაცაში მიბაძა. აი, საკონსტიტუციო უმრავლესობას რაც შეეხება, ამაში ნამდვილად არ მიბაძავს პუტინს. პირიქით ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს უმრავლესობა შეინარჩუნოს. თუმცა ახლა ბევრი რამე ჩვენზეა დამოკიდებული. რუსეთში ჩატარებული არჩევნები აუცილებლად იქონიებს გავლენას აქ ჩატარებულ არჩევნებზე. მთავარია ხალხმა იაქტიუროს. მოსახლეობა არჩევნებზე აუცილებლად უნდა წავიდეს. ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილე გვმართებს.

***– რუსეთის გამო უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე?***

– სიფრთხილე ყველასთან გვმართებს, რუსეთთან განსაკუთრებით. ამ შემთხვევაში მე სააკაშვილთან სიფრთხილის გამოჩენაზე ვსაუბრობდი. ეს არის ძალიან ფლიდი და მზაკვარი ადამიანი. მას ბევრი რამის მოფიქრება და გაკეთება შეუძლია. რუსეთში ჩატარებული არჩევნების შედეგებით ის უკმაყოფილო იქნება.

***– რატომ იქნება უკმაყოფილო?***

– იმიტომ, რომ მისთვის მომგებიანი იყო არადემოკრატიული რუსეთი. ის ბედნიერი იქნებოდა, თუ პუტინი საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებდა დუმაში.

***– ამ არჩევნებით რუსეთი დემოკრატიულ გზას დაადგა ვითომ?***

– არა, ეს ასეთი მარტივი არ არის. რუსეთს დემოკრატიამდე ბევრი აკლია. თუმცა ეს არჩევნები დემოკრატიულობის ხარისხით წინა არჩევნებს ნამდვილად სჯობია. ამ შედეგით ევროპაც კმაყოფილია. რუსეთმა დემოკრატიისკენ მცირე ნაბიჯი გადადგა. სააკაშვილს ამის გაკეთება არ უნდა. მას აქვს სკამი და მისი დათმობა არაფრით არ სურს.

***– რაზე ატყობთ, რომ სკამის დათმობა არ უნდა?***

– ეს მის ყველა გამოსვლაში იგრძნობა. მისგან ბევრი სასწაული რამ მოგვისმენია. მაგრამ 4 დეკემბერს მის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

***– რა განცხადებაზე საუბრობთ?***

– ახალი ქალაქის აშენებას რომ აპირებს. სულ მშენებლობაზეა გადასული, რითაც ძალიან დაემსგავსა ასლან აბაშიძეს. იმასაც ფსევდოაღმშენებლობის ვირუსი ჰქონდა შეყრილი. ის ამ ხერხით ცდილობს, გაიხანგრძლივოს თავის არადემოკრატიული მმართველობა.

***– ზემოთ თქვით, რომ რუსეთში ჩატარებული არჩევნები გავლენას იქონიებს ჩვენზეცო. ფიქრობთ, რომ მოსახლეობა იაქტიურებს?***

– მოსახლეობა აუცილებლად გააქტიურდება. რუსეთის მოსახლეობა თუ ახერხებს დუმაში ძალთა ბალანსის დაცვას, ჩვენმა მოსახლეობამაც უნდა შეძლოს. გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი არ არის შორეული მეზობელია. ის ძალიან ახლოს არის ჩვენთან. მარტო რუსეთის კი არა, ცხინვალში ჩატარებული არჩევნებიც დიდ გავლენას იქონიებს ჩვენს მოსახლეობაზე.

***– ცხინვალის არჩევნები ხომ უკანონოა. ამაზე რას იტყვით?***

– იურიდიულად არალეგიტიმურია, მაგრამ ხომ ჩატარდა. თანაც იმაზე დემოკრატიულად, ვიდრე ჩვენთან ტარდება ხოლმე. ჩვენი ხალხისთვის დიდი სტიმული იქნება, როგორ არ ემორჩილება ცხინვალის მოსახლეობა სხვა ქვეყნის მითითებებს.

***– დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ მოიქცევა ჩვენი მოსახლეობა. არჩევნებამდე დიდი დრო აღარ არის დარჩენილი.***

– ლოდინით ჟურნალისტები უნდა დაელოდოთ. პოლიტიკოსებმა კი უნდა ვიაქტიუროთ. კანონის ფარგლებში ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მზაკვარი სააკაშვილი კიდევ ერთხელ არ დაეპატრონოს ამ ქვეყანას.

# კოკოითი ძალაუფლებას არ თმობს

## ჯიოევამ ინაუგურაციის თარიღი დანიშნა

თეა მარხვაიძე

ცხინვალში ვითარება ისევ დაძაბულია. ადგილობრივი ოპოზიცია ახლო მომავალში სიტუაციის კიდევ უფრო მეტად გამწვავებას აპირებს. ისინი მოსახლეობას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებენ. მოწოდებების პარალელურად საპროტესტო აქციები ისევ გრძელდება. გუშინ აქ შიმშილობის აქციაც დაიწყო. შიმშილობა 65 წლის მამაკაცმა გამოაცხადა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ალა ჯიოევას მომხრეებმა უკვე ინაუგურაციის თარიღი დანიშნეს. არადა მანამდე მისი სარჩელი სასამართლომ უნდა განიხილოს.

სარჩელის განხილვა წესით გუშინ უნდა დაწყებულიყო. ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ სასამართლო გუშინვე გამოაცხადებდა ჯიოევას პრეზიდენტად. უზენაესის სასამართლოს თავკაცმა კი აღფრთოვანებულ ოპოზიციას ცივი წყალი გადაასხა. ოპოებს შეუთვალა, 5 დეკემბერს საქმის განხილვას არც ვაპირებდი, უბრალოდ თარიღს გამოვაცხადებ როდის დავიწყებ განხილვასო.

გუშინ გაირკვა, რომ სამხრეთ ოსეთის უზენაესი სასამართლო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების აღიარებასთან დაკავშირებით ალა ჯიოევას მიერ შეტანილი სარჩელის განხილვას დღეიდან, 6 დეკემბრიდან დაიწყებს.

როგორც „რია ნოვოსტი" იუწყება, სასამართლო სარჩელის განხილვას ადგილობრივი დროით დილის 09:00 საათიდან დაიწყებს.

ოსური თემიდის მამას აცამაზ ბიჩენოვს კოკოითიმ რამდენიმე დღის წინ მოსთხოვა განაჩენის გადახედვა.

სასამართლო სარჩელის განხილვას დღეს იწყებს. ოპოზიცია კი ინაუგურაციისთვის ემზადება.

ოსური პორტალების ცნობით, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ალა ჯიოევას ინაუგურაცია იგეგმება 10 დეკემბერს ცხინვალში.

„რია ნოვოსტის" ცნობით, ამის შესახებ განცხადება ჯიოევას მომხრეებმა ცხინვალში გამართულ მიტინგზე გააკეთეს.

მომიტინგეების განცხადებით, ალა ჯიოევა ხალხმა აირჩია და მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა, მათი არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია მაინც შედგება.

როგორც „რია ნოვოსტი" იუწყება ჯიოევას მომხრეებს ინაუგურაციის ადგილი არ დაუკონკრეტებიათ, თუმცა აღნიშნეს, რომ ცერემონიალი 14.00 საათზე დაიწყება.

როგორც ირკვევა ვილაცეებმა ჯიოევას ურჩიეს სტრასბურამდე იაროს. ჯიოევას სამართლის საძებნელად რკინის ქალამნები აცვია, მაგრამ სტრასბურამდე სიარულს არ აპირებს. საამისოდ კი მიზეზები აქვს. რადგან რუსეთის წინააღმდეგ წასვლა არ სურს.

– ვილაცეები ამბობენ, თითქოს ჩვენ სტრასბურგში და კიდევ სადღაც ვიჩივლებთ, მაგრამ ჩვენ ასეთი გეგმები არ გვაქვს. რუსეთის წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ წავალთ. ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ არ ვართ განწყობილი. ამ დროისთვის სხვადასხვა ვარიანტს ვიხილავთ, რათა საზოგადოების ყურადღება მივიპყროთ, – აღნიშნავს ჯიოევა.

საინაგურაციოდ ატეხილი ოპოზიციის ალიაქოთი კოკოითის გულთან ახლოს არც კი მიაქვს. ის პრეზიდენტის უფლებამოსილების გადასაცემად მზადაა ოღონდ ამის გაკეთებას კანონიერად აპირებს.

ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს კი ნარინჯისფერი რევოლუციის ნაირსახეობად მიიჩნევს.

– ის, რაც დღეს ხდება, არის ,,ნარინჯისფერი რევოლუციის" ერთ-ერთი ფორმა და ეს არ გაუვათ. ისე იქნება, როგორც ამას პროკურორი და სამხრეთ ოსეთის ხალხი გადაწყვეტს, – აღნიშნა კოკოითიმ სამხრეთ ოსეთის საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

კოკოითი იფიცება, რომ ის არ ებღაუჭება ხელისუფლებას, თუმცა უნდა ხელისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად გადასცეს.

კოკოითი მიიჩნევს, რომ ცხინვალში ისეთი არაფერი არ ხდება. განსხვავებულად აფასებს იქ შექმნილ ვითარებას აქაური ოპოზიციის მეგობარი ანატოლი ბარანკევიჩი.

ბარანკევიჩმა „ნოვაია გაზეტასათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში ვითარება კრიტიკულია. მისი აზრით ამაში დამნაშავე მხოლოდ არსებული რეჟიმია, რომელმაც არაკანონიერი ნაბიჯები გადადგა.

– სწორედ კოკოითის ბრძანებით გააუქმა უმაღლესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები, – განაცხადა ბარანკევიჩმა.


ედუარდ კოკოითი

ამ დროისათვის ოპოზიცია მხარდაჭერის თხოვნით რუსეთის პრეზიდენტისადმი, რუსეთის მოსახლეობისადმი, კავკასიელი ხალხისადმი და საერთაშორისო საზოგადოებისადმი მიმართვას ამზადებს. ბარანკევიჩმა ასევე აღნიშნა, რომ ორშაბათიდან ოპოზიციის მხარდამჭერები სახალხო დაუმორჩილებლობის აქციას დაიწყებენ.

–სამუშაოზე არავინ გავა, გარდა ექიმებისა, მეხანძრეებისა და მილიციელებისა. ჩვენ მოსკოვის მხრიდან გაგებისა და საღი აზროვნების გამარჯვების იმედი გვაქვს. რუსეთმა ხელი შეუწყო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დამოუკიდებლობას, ამიტომ არ შეიძლება მათ დამოუკიდებელ არჩევანზე უარი ეთქვას. ხალხი ისე დაიღალა მოქმედი ხელისუფლებისაგან, რომ ბოლომდე იბრძოლებენ, – აცხადებს გენერალი ბარანკევიჩი.

რუსი გენერალი დაუმორჩილებლობის იდეას აწვება, თუმცა ძალადობას კატეგორიულად გამორიცხავს.

ცხინვალში არსებული ოპოზიციური ძალები ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ძალადობრივი ქმედებებისათვის არ ემზადებიან. ამის შესახებ „ნოვაია გაზეტა"-ს ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გენერალმა ანატოლი ბარანკევიჩმა განუცხადა.

გენერლის განცხადებით, ოპოზიციას იარაღი არ გააჩნია და მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქმედებს.

– ჩვენ კანონს არ ვარღვევთ და არც დაგვირღვევია. მე არასოდეს გამიკეთებია მოწოდება ძალადობისაკენ და სისხლისღვრისკენ. გაცოცხლებული ადამიანების შეკავება კი ძალიან ძნელია. ყოველ დღე ჩვენს მომხრეებს მე მოვუწოდებ: – ,,არავითარი პროვოკაცია, არავითარი სისხლისღვრა, – აცხადებს გენერალი.

შექნილი ვითარებიდან გამოსავალს გენერალი მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების აღიარებაში ხედავს, სადაც ალა ჯიოევამ გაიმარჯვა. იგი ასევე ერთ ვარიანტსაც უშვებს – ვიდრე სიტუაცია არ გაირკვევა, კოკოითის გადადგომა და ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ ბროვცევისათვის დელეგირება უნდა მოხდეს.

– ჩვენ არ დავუშვებთ, რომ კოკოითი ხელისუფლების სათავეში 2012 წლის 25 მარტამდე დარჩეს, – აცხადებს ბარანკევიჩი.

საეჭვოა, რომ კოკოითიმ უფლებამოსილება ვადიმ ბროვცევს გადააბაროს. რადგანაც მათ შორის სერიოზული დაპირისპირებაა.

შექმნილი ვითარებიდან გამოსაცალს ზოგიერთები ანატოლი ბიბილოვში ხედავენ. იმ ბიბილოვში. რომელმაც არჩევნებში დამარცხება იუკადრისა და შედეგები გაასაჩივრა.

მავანი ფიქრობს. რომ ბიბილოვმა დამარცხება უნდა აღიაროს და სარჩელი უკან გამოიტანოს.

ბიბილოვი ჯერჯერობით დუმს. მან მხოლოდ ის დაიბარა, რომ 25 მარტს დაგეგმილ არჩევნებში მონაწილებას არ მიიღებს. რადგანაც არ სურს ხალხის დაპირისპირების მიზეზი გახდეს.

# იმიტირებულ პროცესებში გამარჯვებულები კონსტანტინე კუბლაშვილმა და ამერიკის ელჩმა დააჯილდოვეს

2011 წლის 2 დეკემბერს უზენაეს სასამართლოში კონსტანტინე კუბლაშვილმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა სისხლის სამართალში ეროვნული იმიტირებული პროცესის გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის მხარდაჭერით.



პროექტი მიზნად ისახავს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის მხარდაჭერას, იურიდიული პროფესიული გაერთიანებების შესაძლებლობების გაძლიერებასა და იურიდიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

იმიტირებულ პროცესში მონაწილეობას იღებდა 10 უმაღლესი სასწავლებელი.

შესარჩევი ტური ჩატარდა 1 დეკემბერს, ხოლო ნახევარ ფინალი და ფინალი 2 დეკემბერს უზენაეს სასამართლოში გაიმართა.

ჯონ ბასმა დადებითად შეაფასა სტუდენტთა მონაწილეობა ამ პროექტში: „მოხარულები ვართ, რომ შეჯიბრში მონაწილეობას იღებენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, და ჩვენი მხარდაჭერაც ამ მხრივ, იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ სტუდენტებს სწავლის დამთავრების შემდეგ წარმოდგენა ჰქონდეთ, რას უნდა ელოდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში. ჩვენი მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია სწორედ სამართლიანი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება, რაც კანონის უზენაესობის წინაპირობაა. ამ მხრივ პროგრესი საქართველოს უდავოდ აქვს. დღევანდელი შეჯიბრების შედეგად ერთი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა

თუმცა ჩემი აზრით ყველა მონაწილე გუნდი გამარჯვებულია, ვინაიდან მათ შეჯიბრში მონაწილეობით პრაქტიკული გამოცდილება შეიძინეს".

# ლაშა ჩხარტიშვილი სტრასბურგში ჩივის

## ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებზე გამოჩენა პატიმრობით სრულდება!


ლაშა ჩხარტიშვილი

შალვა ჯოხაძე

ანტისამთავრობო დემონსტრაციებზე გამოსული ადამიანები მრავალი წლით აღმოჩნდებიან ციხეში – უმნიშვნელოვანეს არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ასეთი საშიში გზავნილი შეიძლება წამოვიდეს ბათუმში მიმდინარე სასამართლო პროცესიდან. აქ ერთ-ერთი აქციის 7 მონაწილეს ასამართლებენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ მიაჩნიათ, რომ ასეთი გზავნილი ნამდვილად იქნება, თუ ეს სასამართლო სამართლიანად და მიუკერძოებლად არ წარიმართა. ქართული სასამართლოს არაობიექტურობა გახდა იმის მიზეზი, რომ პროტესტის გამოხატვისათვის არაერთხელ დაკავებული კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილი სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები ბოლო პერიოდში ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობა უმნიშვნელოვანესია, თუმცა ამის მიღწევა ვერა და ვერ ხერხდება.

– მივიჩნევთ, რომ სასამართლოს სისუსტე, პარლამენტის სისუსტესთან ერთად, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების გადამეტების უდიდეს საფრთხეს ქმნის. საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში ხშირია საუბარი საქართველოში შერჩევითი სამართლის არსებობაზე, რის გამოც ისინი საქართველოს კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებენ, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ და ამის მორიგ დასტურად ბათუმში 22 მაისის საპროტესტო აქციისას დაკავებული 7 მოქალაქის საქმის დეტალები მოჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ საქმის გარშემო სასამართლო მოსმენები ჯერ კიდევ გრძელდება და ეს საქმე ჩვენი ქვეყნის სასამართლო სისტემაში კომპლექსური პრობლემების არსებობის კარგი მაგალითია.

– პროკურორმა პროტესტის 7 მონაწილეს – დავით პარტენაძეს, ვახტანგ სიორიძეს, ანზორ სოლომონიძეს, გოჩა მუხაშავრიას, დიმა ჭეიშვილს, ხვიჩა გამარჯობაძესა და ტარიელ ფუტკარაძეს, აღიარების შემთხვევაში, ორწლიან სასჯელი და 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა შესთავაზა, – აცხადებს ბრალდებულთა ინტერესების დამცველი, ადვოკატი მზია დიასამიძე.

საპროტესტო აქციის მონაწილეებს ბრალი აჭარის ტელევიზიის შენობის შესასვლელის ბლოკირებაში ედებათ. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, საპროტესტო აქციის მონაწილეებს, სულ მცირე, ორი წლის ციხეში გატარება მოუწევთ. ამასთანავე, დაკავებულებს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებაც წაუყენეს, რაც ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ბრალდებულთაგან რამდენიმემ 7 სექტემბერს შემდგარ სასამართლო მოსმენამდე პროკურორთან საპროცესო გარიგების დადება უკვე სცადა. ცნობილი ფაქტია, რომ საპროცესო შეთანხმებების პრაქტიკა საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში ფართოდ არის გავრცელებული.

– ამ შემთხვევაში, შეთანხმება საპროცესო გარიგების თაობაზე ჯერჯერობით ვერ შედგა, რადგან ბრალდების მხარე დაჟინებით ითხოვდა ბრალდებულების ციხეში მოთავსებას სულ მცირე 2-3 წლით, – აცხადებს მზია დიასამიძე.

ივლისში, ერთ–ერთმა ბრალდებულმა, ტარიელ ფუტკარაძემ ტელეკომპანიის ბლოკირებაში თავი დამნაშავედ ცნო, ის აგრეთვე დათანხმდა, დანარჩენი ბრალდებულების წინააღმდეგ ჩვენება მიეცა და შედეგად, საპროცესო გარიგებით ციხიდან გათავისუფლდა, თუმცა სასამართლო პროცესებს მაინც ესწრება.

– უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო გარიგების პრაქტიკა საქართველოს სასამართლო სისტემაში დღემდე ფართოდ გამოიყენება.

ევროსაბჭოს ანგარიშის თანახმად, 2010 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმეთა 98.3% დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით საპროცესო გარიგებების ჩათვლით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ 4,089 ადამიანის წინააღმდეგ მოისმინა საქმე; აქედან 0.2% გაამართლა, ხოლო 12% ნაწილობრივ გაამართლა.

სასამართლოში არებულ პრობლემებს ეხება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთ-ერთი ბოლო კვლევა საპროცესო შეთანხმების შესახებ. კვლევის შედეგად ორგანიზაციამ დაადგინა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემას გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და დამოუკიდებლობა აკლია.

პროტესტის მონაწილეთა დაკავება პროკურატურის მხრიდან გამართლებულია მტკიცებით, რომ ამ ადამიანებმა მოახდინეს აჭარის ტელევიზიის ბლოკირება, მაშასადამე, ხელი შეუშალეს ნებისმიერ ადამიანს შენობის დატოვებასა და მასში შესვლაში. თუმცა, გაზეთი „ბათუმელები“, რომელიც მუდმივად ადევნებდა თვალს აღნიშნულ საქმეს, წერს, რომ აჭარის ტელევიზიას სინამდვილეში ორი შესასვლელი აქვს. გაზეთმა აგრეთვე გაავრცელა მცირე ვიდეოჩანაწერი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ იყენებენ აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები უკანა შესასვლელს. ეს ეწინააღმდეგება აჭარის ტელევიზიის 5 ჟურნალისტის ვერსიას მომხდარის შესახებ. მათ გამომძიებლებს განუცხადეს, რომ სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, რადგან მომიტინგეებს შენობის წინ პიკეტი ჰქონდათ მოწყობილი.

აჭარის ტელევიზიის პროდიუსერი ცირა სურმანიძე აცხადებდა, რომ მან ვერ გაგზავნა ჟურნალისტი რეპორტაჟის მოსამზადებლად, რადგან შენობის გარეთ პროტესტი მიმდინარეობდა. აჭარის ტელევიზიის დირექტორმა სასამართლოს მოახსენა, რომ ტელევიზიის მეორე გასასვლელი ტექნიკური პერსონალის მიერ გამოიყენება და არა ჟურნალისტების მიერ. „საკითხის ირგვლივ დიდი სკანდალია აგორებული და ნებისმიერი განცხადება შეიძლება, სამსახურის დაკარგვის ფასად დამიჯდეს“, – უთხრა ტელევიზიის ერთ–ერთმა თანამშრომელმა „ბათუმელებს“ და ანონიმურობის დაცვა ითხოვა. სასამართლოს ჯერჯერობით არ მიუღია მხედველობაში გაზეთის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგები, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

პოლიციის სამი თანამშრომელი: ამირან დევაძე, მერაბ აბაშიძე და ვახტანგ არძენაძე პროკურატურამ მოწმეებად დაიბარა. მათ სთხოვეს, დაესახელებინათ რომელიმე პოლიციელი, რომელსაც ბრალდებულები თავს დაესხნენ. ვერც ერთმა მოწმემ ეს ვერ შეძლო. თუმცა პოლიციელებმა თქვეს, რომ მათ კოლეგებს წიხლებს ურტყამდნენ და ხელს ჰკრავდნენ.

პოლიციელებმა განაცხადეს, რომ თავიანთი კოლეგების სახეების ამოცნობაც შეეძლოთ, რომელთაც, მათი თქმით, თავს დაესხნენ. სამივე მოწმემ განაცხადა, რომ პოლიციელებს, რომლებიც ბრალდებულთა თავდასხმას ემსხვერპლნენ, პროტესტის დღეს სამოქალაქო ტანისამოსი ეცვათ.

ერთ–ერთი მომიტინგის ინტერესების დამცველმა იმის დამადასტურებელი ინფორმაცია მიიღო, რომ პროკურატურის მიერ დასახელებული თვითმხილველი, რომელიც ერთ–ერთი ბრალდებულის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას, საპროტესტო გამოსვლების დღეს ბათუმში საერთოდ არ იმყოფებოდა.

მოსამართლე ვერა დოლიძემ მობილური ტელეფონით გაკეთებული ჩანაწერების გამოქვეყნების თაობაზე ადვოკატის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით 21 მაისს მოწმის რეალური ადგილმდებარეობის დადგენაა შესაძლებელი. აგრეთვე, მოსამართლემ დამცველ მხარეს აჭარის სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის დაკითხვის უფლება არ მისცა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ერთ–ერთი ბრალდებული – გოჩა მუხაშავრია ქალაქის მეორე მხარეს დაინახა, მაშინ, როდესაც ტელევიზიის წინ პროტესტი მიმდინარეობდა.

ვახტანგ სიორიძე ერთ–ერთი ბრალდებულია, რომელმაც ბრალი აღიარა და მოსამართლეს გათავისუფლება სთხოვა. მან მოსამართლეს მოახსენა, რომ მისი ცოლი კიბოს ბოლო სტადიით იტანჯება და მის გარდა ორშვილიან ოჯახს ვერავინ შეინახავს. ვახტანგ სიორიძის ადვოკატმა წარადგინა მისი ექიმის განცხადება, რომ ვახტანგ სიორიძეს მენტალური პრობლემები აქვს. დიასამიძის თქმით, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდებულის თხოვნა და ის დღემდე დაკავებულია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინფორმაციით, სასამართლოს დამკვირვებლების განცხადებით, მოსამართლე ვერა დოლიძემ არ დაუშვა ჟურნალისტებს სასამართლო მოსმენის აუდიო ჩაწერა გაეკეთებინათ. საქმე კვლავ განხილვაშია, ხოლო ბრალდებულებს 11 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ (რადგანაც საქართველოს სამართლებრივი სისტემა სასჯელის შეკრების წესს ცნობს) თუკი ბრალი დაუმტკიცდათ.

გაზეთ „ბათუმელების“ მთავარი რედაქტორის, ეთერ თურაძის თქმით (ის აჭარის ტერიტორიაზე სასამართლო პროცესებს აშუქებს), მოსამართლე დოლიძე გამოირჩევა იმით, რომ იშვიათად გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.

– უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მახსოვს მხოლოდ ერთი გამამართლებელი განაჩენი, ის დოლიძემ რამდენიმე კვირის წინ გამოიტანა, – ამბობს თურაძე.

– საქართველოს სისხლის სამართლის საქმეებში გამამართლებელი განაჩენის ძალზე მცირე რაოდენობა, სასჯელის მისჯა და საპროცესო გარიგებები იმდენად ხშირია პრაქტიკაში, რომ მხოლოდ იშვიათი გამონაკლისების გარდა, სისხლის სამართლის სისტემა ფაქტობრივად „საპროცესო გარიგების სისტემადაა“ გადაქცეული, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“.

ანტისამთავრობო აქციებისას დაკავებულებზე საუბრისას, ლაშა ჩხარტიშვილს გვერდს ვერ აუვლით. „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი მისი უკანონოდ დაპატიმრების საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს. მის ინტერესებს ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი იცავს“.

– ლაშა ჩხარტიშვილის მიმართ, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით 10 დღის ვადით უკანონოდ დააპატიმრეს, დაირღვა ევროკონვენციის მე-3 (არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას) და მე-6 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) მუხლები.

კერძოდ, 2011 წლის 5 ივნისს, როდესაც ის მოძრაობდა თბილისში რუსთაველის გამზირზე, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. ამის შემდეგ, საპატრულო პოლიციის მანქანით ის შს სამინისტროს შენობაში გადაიყვანეს, სადაც მის მიმართ შედგა ოქმი, თითქოს მან ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამცავ ორგანოებს გაუწია წინააღმდეგობა.

საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგია იხილავდა, თუმცა მოსამართლემ არც თავად ლაშა ჩხარტიშვილის და არც მოწმეთა ჩვენებები არ გაიზიარა, რომლებიც სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ და უდავოდ მხოლოდ საპატრულო პოლიციის ერთი თანამშრომლის ჩვენება ჩაითვალა. ასევე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ტელეკომპანია „მაესტროდან“ ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვაზე, რომელშიც ნათლად იყო ასახული თუ რა ვითარებაში მოხდა ლაშა ჩხარტიშვილის დაკავება და ვის მიერ.

ამასთანავე, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ ლაშა ჩხარტიშვილი, დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდა არაადამიანურ პირობებში. მას არ მიეწოდებოდა პრესა, საწერი ფურცლები და ფანქარი, ჰიგიენური ხელსახოცები და არ აძლევდნენ სიგარეტის მოწევის საშუალებას. საკანში, სადაც იგი მარტო იყო მოთავსებული, არ იყო განთავსებული პირსაბანი, იყო ღია საპირფარეშო და არ იყო დაცული არანაირი ჰიგიენური ნორმები. ასევე, მას დაკავების პერიოდში არ მიეცა შხაპის მიღების საშუალება.

აღნიშნული გარემოებების გამო, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ მზადდება ევროსასამართლოში განაცხადი, რომელიც 7 დეკემბრამდე გაიგზავნება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

# ტუღუშმა მურთაზ ზოდელავას რეაგირებისთვის პატიმრის წერილი გადასცა

შალვა ჯოხაძე

პატიმარი კახაბერ ბარათაშვილი ციხეში მის მიმართ განხორციელებული საზარელი წამების შესახებ ღიად საუბრობს. მან ჯერ ადვოკატის მეშვეობით მიაწვდინა საზოგადოებას ხმა, მოგვიანებით კი სახალხო დამცველის რწმუნებულებს გაესაუბრა და ახსნა-განმარტებაც დაუწერა. სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა მსჯავრდებულ კახაბერ ბარათაშვილის ახსნა-განმარტება მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა რეაგირებისთვის. ტუღუშმა მოითხოვა, რომ მსჯავრდებულისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება უზრუნველყონ. ვნახოთ, რას გადაწყვეტს მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა.

ამჟამად №18 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის კახაბერ ბარათაშვილის ადვოკატმა სახალხო დამცველს განცხადებით 29 ნოემბერს მიმართა. განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა შეხვედრისას მის მიმართ მე-18 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს შესახებ უამბო.

– 1 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულ კახაბერ ბარათაშვილს, რომელმაც განმარტა, რომ 27 ნოემბერს, ღამის საათებში, №17 დაწესებულებიდან თირკმლის შეტევით №18 სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მისი თქმით, 28 ნოემბერს, საღამოს, გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა, რის გამოც მან კონტროლიორს ექიმის მოყვანა სთხოვა. მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ ნახევარი საათის განმავლობაში მასთან არავინ მისულა. მან კონტროლიორს იმავე თხოვნით კვლავ მიმართა, თუმცა უშედეგოდ.


გიორგი ტუღუში

ბარათაშვილის თქმით, გაუსაძლისი ტკივილის გამო, იძულებული გახდა საკნის კარზე დაებრახუნებინა, რა დროსაც მასთან საკანში დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი შევიდა, რომლებმაც ის ძირს დააგდეს და სცემეს.

მსჯავრდებულის თქმით, მოგვიანებით, კვლავ ჰქონდა აუტანელი ტკივილები, თავს გრძნობდა შეურაცხყოფილად, მიხოხდა კართან და დაიწყო თავის მირტყმა, მასთან კვლავ შევიდნენ №18 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები, დაადეს ხელბორკილები და ცემით ჩაიყვანეს მორგში.

მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მორგში იგი ბეტონის იატაკზე დააგდეს და სცემეს.

ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შემდეგ იგი დაახლოებით 30-40 წუთის მანძილზე ხელებზე ბორკილდადებული მუცლით იწვა მორგის იატაკზე. შემდეგ ის ფსიქიატრიული განყოფილების №10 საკანში გადაიყვანეს, სადაც თანასაკნელებმა მისცეს ტანსაცმელი.

მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მას კვლავ გაუსაძლისი ტკივილები აწუხებდა. მისი თქმით, შემდეგ იგი ჩაიყვანეს №18 დაწესებულების უსაფრთხოების უფროსის კაბინეტში, სადაც ავსაჯანიშვილმა მუქარითა და გინებით დააწერინა, რომ დაზიანებები, რომლებიც მსჯავრდებულს აღენიშნებოდა, თვითდაზიანებით მიიყენა და №18 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, – აცხადებს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

**სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი**

აცხადებს ღია კონკურსს
შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**1. თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილება**
უფროსი – 1 საშტატო ერთეული
მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული

**2. მობილური მანქანების განყოფილება**
უფროსი – 1 საშტატო ერთეული

**3. მანქანათმშენებლობის პრობლემათა განყოფილება**
უფროსი – 1 საშტატო ერთეული
მთ. მეცნ. თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული

**4. მანქანათა დინამიკის განყოფილება**
უფროსი – 1 საშტატო ერთეული

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
232-90-17, 232-11-65 ან imm.ge
საბუთების მიღება ა. წ. 24 დეკემბრამდე
კონკურსი ჩატარდება ა. წ. 28 დეკემბერს
მისამართი: თბილისი, მინდელის ქ. #10

# ლაღიძე აქციებს საელჩოების წინ მოაწყობს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ერთ თვეზე მეტია, რაც შევუ-ერთდით ბინათმოსარგებლეების აქციებს, პარლამენტმა უკვე ფაქტიურად გადაწყვიტა მათი ძირითადი მოთხოვნა, შეჩერდა კანონი, რითიც ეს ადამიანები ბინების გარეშე რჩებოდნენ, კიდევ რა პრეტენზიებს აცხადებენ ბინათმოსარგებლეები?***

— მინდა გითხრათ, რომ ქალაქის მერიის ინიციატივას წინ უძღოდა ჩვენი კონკრეტული მოთხოვნა ვადის გაუქმების შესახებ, ჩვენ აქციებს ვმართავდით სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის დედაქალაქის მერიასთან აქცია გავმართეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, შევხვდით ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და პრეზიდენტის სახელზე შევიდა კოლექტიური წერილი, სადაც კონკრეტულად იყო საუბარი იმ მუხლის გაუქმებაზე, რომელიც 2012 ოლის 1 იანვრიდან ქუჩაში ტოვებდა ათასობით ადამიანს. ამის შემდგომ, ჩვენი წერილის საფუძველზე მერია შევიდა ინიციატივით პარლამენტში და მოითხოვა ამ მუხლის გაუქმება. თავისთავად ეს არის პოზიტიური, წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამით პრობლემა არ იწურება. ე.წ. „ატსტუპნიკები“ თვლიან, რომ მათ უპირობოდ უნდა დაუკანონდეთ ფართები, ვინაიდან თვლიან, რომ მათმა წინაპრებმა ათეულობით წლების წინ სრულიად სამართლიანად და კეთილსინდისიერად შეისყიდეს ეს ფართები, მაგრამ ამის მიუხედავად ამ ადამიანებს საკუთრებაში არ აქვთ ეს ფართები. პრობლემა ისაა, რომ ჯერ პარლამენტს არ აქვს გაუქმებული ეს კანონი. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის ასე მარტივად გადასაწყვეტი, სახელმწიფო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს და უნდა მოხდეს ფართების უპირობოდ გადაცემა ამ ადამიანებზე. მარტო თბილისში არის 40 ათასამდე ასეთი ოჯახი. სახელმწიფო თვლის, რომ ეს არის სასამართლოს გადასაწყვეტი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის სწორი, ეს არის დროში გაწელილი პროცესი, რომელიც წლების მანძილზე დარჩება ისევ მოუგვარებელი. სწორედ ამის გამო გრძელდება აქციები. ამის შემდეგ ჩვენ აქციებს გავაგრძელებთ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, რაც გაგრძელდება მანამ, სანამ ამას მოითხოვს სიტუაცია.

***- საელჩოებთან აქციების გამართვა რა შედეგს მოიტანს?***

- ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებას ჩავაყენებთ საქმის კურსში, რაც ხდება რეალურად ქვეყანაში. ნაციონალური არხები, როგორც წესი, ყველა პრობლებას არ აღწერენ ისე, როგორც რეალურად არის და სულ სხვა კონტექსში წარმოაჩენენ. მე მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების მოთხოვნები არის სრულიად სამართლიანი და ჩვენ ამ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე.

***— თუნდაც საკანონმდებლო დონეზე იქნეს ეს პრობლემა მოგვარებული, პრობლება საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყდება, რამდენადაც გვაქვს ინფორმაცია, ეს საკითხი სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს.***

— პირველ რიგში, ეს ძალიან კარგად იცის ქალაქის მერიამ, რომ ათეული წლების განმავლობაში გრძელდება ეს დავები სასამართლოში და პრაქტიკულად დღემდე პრობლემა ვერ იქნა გადაწყვეტილი. აქედან გამონდინარე სახელმწიფოს მხრიდან უფრო სიღრმისეული და ხისტი მიდგომაა საჭირო, ფაქტია, რომ „ატსტუპნიკებს“ თანხები უკვე აქვთ გადახდილი და ბუნებრივია კანონმა მათ უნდა მიანიჭოს გარკვეული პრივილეგიები, ეს არის ჩვენი ძირითადი მოთხოვნა. ყველაზე მაქსიმალური, რა დათმობაზეც შეიძლება ეს ადამიანები წავიდნენ, მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება ის, რომ დაიწიოს გადასახდელმა პროცენტებმა და გაცილებით ნაკლები პროცენტები ჰქონდეთ მათ მესაკუთრესთან გადასახდელი. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება წამოვა დათმობაზე ჩვენ შესაბამისად ვიმოქმედებთ. სამწუხარო ფაქტი არის ის, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები დადიან კარდაკარ და აშინებენ ამ ადამიანებს და ეუბნებიან, რომ აქციები შეწყვიტონ. აქედან ჩანს ის, რომ ხელისუფლება ცდილობს საზოგადოებაში ჩაკლას პროტესტი, რომელიც არსებობს, მაგრამ ეს ადამიანები გაჩერებას არ აპირებენ ვინაიდან, მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები არის დარღვეული.

***— ბოლო პერიოდში პოლიტიკური პარტიების აქტივობა საკმაოდ შესუსტდა, ის ციფრი, რაც თქვენ ახსენეთ, არის პატარა, აქედან გამომდინარე პრობლემაც ნამდვილად რთული გადასაწყვეტია, რომელიმე პარტიამ თუ გამოხატა ამ ადამიანებისადმი მხარდაჭერა?***

— მე როგორც ვიცი, არც ერთი პარტია არ გამოხატავს ამ ადამიანებისადმი სოლიდარობას, სამწუხაროა, როდესაც ადამიანებს აქვთ ასეთი სერიოზული პრობლემა და პოლიტიკურიო სპექტრი არ აქტიურობს, რაც ძალიან სამწუხაროა. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების აქტივობის შესუსტებას, პარტიები ნამდვილად არ აქტიურობენ ისეთ საკითხებზე, რაც ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია, ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ, ანუ პარტიები ძირითადად სულ სხვა რამით არიან დაკავებულნი. მე, რა თქმა უნდა, მივესალმები ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დრო სააკაშვილის სასარგებლოდ მუშაობს. ამიტომ საჭიროა უფრო მკვეთრი მოქმედებები. ივანიშვილს საკმაოდ დიდი ნდობის ფაქტორი აქვს საზოგადოებაში და ეს ფაქტორი დროულად უნდა იქნეს გამოყენებული. დაუკვირდით, როდესაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, როგორი შეშინებული იყო სააკაშვილის ხელისუფლება, როგორ იყვნენ დაბნეულები, მაგრამ დღეს უკვე როგორ მშვიდად არიან, ფაქტიურად ისინი ამ კუთხით არანაირ საფრთხეს არ მოელიან და რაც უფრო დრო გავა, სამწუხაროდ, მისი რეიტინგი თანდათან დაეცმა და რა რეიტინგი შემორჩება ამ ადამიანს, ამის განსაზღვრა უკვე ძნელია. ამიტომ საჭიროა უფრო მკვეთრი მოქმედებების დაგეგმვა, მათ შორის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა. დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნას.



გიორგი ლაღიძე

***— მაგრამ რამდენად არის ოპოზიცია მომზადებული ვადამდელი არჩევნებისთვის?***

— არჩევნები რომ ჩატარდეს, ნირმალურ საარჩევნო ციკლში, მე მეეჭვება, რომ ამაზე მეტად ოპოზიცია მოემზადოს. პირიქით, ივანიშვილის ფაქტორიც გაუბრალოვდება და დარწმუნებული ვარ, რომ დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს ხელისუფლება. არ არის არჩევნები მარტო ფულზე დამოკიდებული. ყველაზე პირველი არის ის, რომ მედიასაშუალებებს ყველას ფლობს ხელისუფლება, ისინი პრაქტიკულად დაკავებული არიან ტვინის გამორეცხვის პოლიტიკით და საზოგადოებას აწვდიან იმ ინფორმაციას, რაც მათ აწყობთ და ოპოზიცია და მათ შორის ბიძინა ივანიშვილიც არ ფლობს არც ერთ სერიოზულ მედიასაშუალებას და ფაქტიურად ჩვენ ყველანი ჩართული ვართ ხელისუფლებასთან უთანასწორო ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, რაც უფრო გაიჭიმება დროში ეს პროცესი, მით მეტად ჩადგება მომგებიან პოზიციაში ხელისუფლება. რაც შეეხება იმ გუნდს, რომელიც შემოკრებილია ბიძინა ივანიშვილის გარშემო, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა მან გათვლა გააკეთა იმ პოლიტიკურ ფიგურებზე, რომლებიც წარმოდგენილი არიან მის გარშემო. მე რატომღაც მგონია, რომ მის გვერდით უკვე დგანან ისეთი ადამიანები რომლებიც ნამდვილად დიდ ჩრდილს მიაყენებენ ივანიშვილის პიროვნებას, მის გვერდით არიან არარეიტინგული ფიგურები, ადამიანები რომლებიც ადვილად ექცევიან ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ და ეს ყველაფერი ძალიან ცუდად იჩენს თავს მომავალში. მართალია არიან წესიერი ადამიანებიც, რომლებიც ნამდვილად უანგაროდ იღვწოდნენ ამ ქვეყნისთვის და მომავალშიც ბევრი კარგი საქმის გაკეთებაც შეუძლიათ. მე ვფიქრობ, რომ საერთო ჯამში საჭიროა პოლიტიკური სპექტრის გააქტიურება, ეს არის მნიშვნელოვანი საქართველოს ხვალინდელი დღისთვის, ჩვენ ქართულ პოლიტიკაში ბელადის გამოჩენას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ორიენტირებული უნდა ვიყოთ იმაზე, რომ მთლიანად ოპოზიციური სპექტრი იყოს ძლიერი, საზოგადოების ჩართულობა ოპოზიციურ მოძრაობებში იყოს მაღალი, რათა ერთობლივად შევძლოთ ნაციონალების და სააკაშვილის ჩამოშორება ხელისუფლებიდან. თუ ეს ვერ მოხერხდა, მერწმუნეთ, რომ სახეცვლილი სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა კიდევ მრავალი წელი იქნება ხელისუფლების სათავეში.

# სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია უზენაეს სასამართლოში

2011 წლის 1 დეკემბერს უზენაეს სასამართლოში უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელებისთვის სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა.



სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა უნიკალური პროდუქტია ქართულ სივრცეში. მისი შექმნისას გათვალისწინებული იქნა მრავალი თანამედროვე ბიბლიოთეკის გამოცდილება.

სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. ბიბლიოთეკის მისამართია www.library.court.ge. დღეისთვის ბიბლიოთეკას 1300 მეტი მკითხველი ჰყავს.

ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით დაცულია 12000 მეტი იურიდიული ლიტერატურა - წიგნები, ჟურნალები, სტატიათა კრებულები, ვიდეო და აუდიო ფაილები.

უზენაესი სასამართლოს ინიციატივით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში გადავიდა. მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უკვე შეხვდა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. უახლოეს დღეებში კი უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაა დაგეგმილი.

# მიხეილ სააკაშვილმა ტყიბულში რეაბილიტირებული საავადმყოფო გახსნა

გუშინ თერჯოლის საავდმყოფოში სტუმრობის შემდეგ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტყიბულს ეწვია და რეაბილიტირებული რაიონული საავადმყოფო გახსნა.

საავადმყოფო ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში განახლდა.

სააკაშვილმა ახალი კლინიკა დაათვალიერა და მედიცინის მუშაკებს გაესაუბრა, შემდეგ კი ცენტრში დამონტაჟებული თანამედროვე აპარატურით და ექიმთა კვალიფიკაციის დონით დაინტერესდა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით და დაკომპლექტებულია 70-მდე მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით.

მისი თქმით, ახალ კლინიკაში შესაძლებელია სტაციონარული, ამბულატორიული და პრეჰოსპიტალური მომსახურების მიღება. ეს კი ტყიბულის მოსახლეობას სრულფასოვანი, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალებას მისცემს და ტყიბულებებს სამკურნალოდ თბილისში ჩასვლა აღარ მოუწევთ.

მედიანიუსი

# 9 დეკემბერს პარლამენტი 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დაამტკიცებს

9 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე პარლამენტი 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დაამტკიცებს.

როგორც გუშინ ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, სხდომის წამყვანმა გიორგი წერეთელმა განაცხადა, ბიუჯეტის პროექტის განხილვაში როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ.

გიორგი წერეთელმა იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში პარლამენტში გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნება ასახული.

წარმოდგენილი პროექტით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 7 მილიარდ 940 მილიონ 430 ათასი ლარით არის განსაზღვრული.

მედიანიუსი

# აკაკი მინაშვილი: რუსეთის პოლიტელიტამ რუსულ საზოგადოებას იმედი გაუცრუა

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილის შეფასებით, რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ რუსულ საზოგადოებას იმედი გაუცრუა.



აკაკი მინაშვილი

როგორც მან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რუსეთის პოლიტიკური ელიტის — პუტინისა და მედვედევისადმი — რუსული საზოგადოების იმედგაცრუება სახეზეა.

„მიუხედავად გაყალბებისა, რომელიც სხვადასხვა დოკუმენტით, მათ შორის, ფარული ჩანაწერებით, დასტურდება, მათ საკონსტიტუცუციო უმრავლესობის მიღწევა ვერ მოახერხეს და უბრალო უმრავლესობას მხოლოდ რამდენიმე ხმით გადააჭარბეს. წინა არჩევნებთან შედარებით მათ დაახლოებით 20 პროცენტი დაკარგეს“, — აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ შიდა პოლიტიკიდან საგარეო პოლიტიკაზე ყურადღების გადატანის მცდელობა იყო, საბჭოთა ტექნოლოგიამაც არ იმუშავა.

„ძალიან კარგად იკვეთება რუსული საზოგადოების უკმაყოფილება, რადგან მათ უფრო მეტი დემოკრატია სურთ. ეს ყველასთვის კარგია — როგორც რუსეთის მოქალაქეების, ისე მეზობლებისთვის. განვითარებული მოდერნიზებული რუსეთი იმას ნიშნავს, რომ მას საქართველოს დეოკუპაცია და იმ თამაშის წესებით თამაში მოუწევს, რომელიც მსოფლიოში არსებობს“, — განცხადება აკაკი მინაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, რომელიც 4 დეკემბერს გაიმართა, 49,54 პროცენტით „ედინაია როსია“ ლიდერობს. მეორე ადგილზეა „კომუნისტურმა პარტია“, ხოლო მესამეზე — „სპრავედლივაია როსია“.

მედიანიუსი

# ნუგზარ წიკლაური: ლაზიკაში ლაზები სერიოზულ ინვესტიციას განახორციელებენ

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ახალ ქალაქ ლაზიკაში ლაზები სერიოზულ ინვესტიციას განახორციელებენ.

როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ სამეგრელოსთან ერთგვარი ჩიხი წარმოიშვა, რაც ხელს უშლიდა მის განვითარებას. სამეგრელოს ამ ჩიხიდან გამოსვლას კი ხელს სწორედ ანაკლიის განვითარება, ლაზიკის მშენებლობა და მთელი ამ ზონის განვითარება შეუწყობს.

რაც შეეხება ნახევარ მილიონ ადამიანს, რომელმაც ახალ ქალაქში უნდა იცხოვროს, წიკლაურის შეფასებით, საკურორტო ზონაში, ახალ ქალაქში ცხოვრების სურვილი მიმდებარე სოფლებიდან ბუნებრივად გამოითქმება ხოლმე. მისივე თქმით, უამრავი ლაზი, რომელიც თურქეთში ცხოვრობს, ამ ქალაქში დიდ ინვესტიციას განახორციელებს.

მედიანიუსი

# „ქართული პარტია“ გადარჩენისთვის იბრძვის

## რა კავშირი აქვს ოქრუაშვილს ებრალიძესთან

თამარ ნინიძე

„ქართული პარტიის“ რიგები თანდათან თხელდება. ცოტა ხნის წინ „ახალი თაობა“ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ პარტიიდან სოზარ სუბარის წასვლის ალბათობა დიდი იყო, რაც მოგვიანებით კიდეც გამართლდა. პარტიის უკვე ყოფილ თავმჯდომარეს თბილისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები მიჰყვნენ, ეს ის კადრებია, რომლებიც თავის დროზე „ქართულ პარტიაში“ სოზარმა მიიყვანა. ცნობილი გახდა, რომ პარტია დატოვეს ვაკე–საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ თამარ ფიოლიამ, მთაწმინდა–კრწანისის თავმჯომარემ ზურაბ ლონლაძემ, გლდანი–ნაძალადევის თავმჯდომარემ იაგო შაიშმელაშვილმა, ისანი–სამგორის თავმჯდომარემ დავით ჩართოლანმა, დიდუბე–ჩუღურეთის თავმჯდომარემ ლელა დანგაძემ. ჩვენ ვერ დავუკავშირდით „ქართული პარტიის“ პრესმდივანს ლია კამლაძეს კომენტარისთვის, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ქალბატონი ლია პარტიიდან აქტივის წასვლის შესახებ ინფორმაციას მოგვაწვდის და მიზეზებზეც მოგვახსენებს.

„ქართული პარტია“ 2010 წლის 24 ნოემბერს დაფუძნდა, მისი თავმჯდომარე სოზარ სუბარი იყო, პარტიის სახეებს წარმოადგენდნენ ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე, ეროსი კიწმარიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და მოგვიანებით მათ მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენი კოტე გოგელია შეუერთდა. გოგელია ლევან გაჩეჩილაძეს ქვისლად ეკუთვნის. ლევანის მეუღლე და გოგელიას მეუღლე მაკა ასათიანი დეიდაშვილები არიან. „ქართული პარტიის“ შექმნიდან მალევე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ პოლიტიკური სუბიექტის კურსი უფრო რუსული ორბიტისკენ იხრებოდა, ეს ვარაუდები გამართლდა მას შემდეგ, როცა „ქართულმა პარტიამ“ ეროსი კიწმარიშვილისა და სოზარ სუბარის თაოსნობით ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართეს. გოგელია, რომელიც მოსკოვში წლებია ცხოვრობს, პარტიის მთავარ დამფინანსებლად მოიაზრებოდა, პარტიის ფინანსების რუსულ კვალზე ქართულმა მედია საშუალებებმა ხმაური სწორედ გოგელიას პარტიაში გაწევრიანების შემდეგ ატეხეს. ეროსი კიწმარიშვილის ინიციატივით დაგეგმილი მიტინგი ამერიკის საელჩოს წინ მრავლისმნახველ ქართველებს არ გაკვირვებიათ. ეროსი რუსეთში საქართველოს ელჩი იყო 2008 წლის აგვისტოს ომამდე, მისი საქმიანობა საქართველოს ხელისუფლებისთვის საეჭვო აღმოჩნდა, მისმა ბრალდებებმა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აგვისტოს ომთან დაკავშირებით ეროსისა და გივი თარგამაძეს შორის ფიზიკური დაპირისპირება გამოიწვია. აქედან აილო სათავე კიწმარიშვილის გაოპოზიციონერებამ. ლევან გაჩეჩილაძე ჯერ კიდევ მისი დეპუტატობის დროს იჩენდა რუსეთისადმი სიმპათიებს. მაშინდელ პარლამენტში ოპოზიციამ დსთ–დან საქართველოს გასვლის შესახებ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა, ლევან გაჩეჩილაძემ კი, რომელიც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი იყო, ჩვენდა გასაკვირად ამ მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა, როცა კომენტარი ვთხოვეთ, რა მოტივით ხელმძღვანელობდა გაჩეჩილაძე, მან სინანულით გაიხსენა ის პერიოდი, როცა რუსულ ბაზარზე „ჯი–ვი–ესის“ ღვინოები გადიოდა. გაჩეჩილაძის აზრით, დსთ–დან საქართველოს გასვლა რუსულ ბაზარზე მის კომპანიას ღვინოების გასაღებაში ხელს შეუშლიდა. ეს იყო მისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება. ამიტომ მისი „ქართულ პარტიაში“ ყოფნა ლოგიკური აღმოჩნდა.


ირაკლი ოქრუაშვილი

2011 წლის მაისში „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებული მიტინგების შემდეგ ამ პარტიაში ერთობა დაირღვა. პოზიციები ფაქტობრივად ორად გაიყო, გაჩეჩილაძე, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში ქუჩის აქციების მომხრედ ითვლება, მაისის აქციებზე „ქართული პარტიის“ აქტიურ მონაწილეობას ემხრობოდა, მის აზრს იზიარებდა კოკა გუნცაძე, 25 მაისს ცნობილი გახდა, რომ პარტიაში განხეთქილებაა. ირაკლი ოქრუაშვილი აქციების მისი სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში ჩამოსვლას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად სწორედ მაშინ გადაიფიქრა, როცა მისი დაბრუნების დიდი მოლოდინი გაჩნდა. ვერავინ გაიგო, რამ გადააფიქრებინა აქამდე საბრძოლოდ განწყობილ და თავგანწირვისთვის გადადებულ ოქრუაშვილს საქართველოში დაბრუნება. მეტიც, სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი აქციებზე აღარ გამოჩნდნენ, მალევე პარტიაში მუშტი–კრივით გაურჩიეს საქმე კოკა გუნცაძეს და გაჩეჩილაძეც მასთან ერთად პარტიიდან წავიდა. ბურთი და მოედანი ეროსის, სოზარს და ირაკლის დარჩათ. გოგელიამაც ნათესავის განაწყენებას პარტიის დატოვება არჩია, თან ფინანსებიც დაზოგა.

ახლა „ქართულ პარტიას“ მხოლოდ ეროსი და ირაკლი შემორჩნენ. ეროსი „მაესტროში“ განვითარებული მოვლენების შემდეგ საზოგადოებისთვის იმდენად უარყოფით გმირად გამოჩნდა, რომ მისი რეიტინგის არათუ შენარჩუნების, დაღმასვლის გამო მისმა პარტიამაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. ცალკე თემაა ოქრუაშვილის პოლიტიკური კარიერის პერსპექტივა. პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება ოქრუაშვილის განვლილ გზას არ ივიწყებს, უპრინციპობაში ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ ის არასანდო პარტნიორია. საერთოდ საკითხავია, არის თუ არა ოქრუაშვილი პოლიტიკოსი? მართალია, პოლიტიკოსებად არ იბადებიან, მაგრამ საქართველოში პოლიტიკოსად და მით უმეტეს, ოპოზიციონერ პოლიტიკოსად გარდაქმნის მაგალითები ბევრია. ხისტი, მკაცრი და მუდმივად მუშტების იმედად მყოფი ოქრუაშვილი დიდი ხანია საქართველოს საზღვრებს გარეთაც ომის მინისტრად მონათლეს, ეს მაშინ, როცა ის თავდაცვის მინისტრი იყო. გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი მთავრობაში მისი ყოფნის დროს. გენპროკურორის სავარძელში მოკალათებულმა ირაკლი ოქრუაშვილმა სისხლის სამართლის კანონი გაამკაცრა, მისი ამ პოსტზე ყოფნის დროს განხორციელდა ხმაურიანი დაპატიმრებები შევარდნაძის სახელმწიფო მოხელეებისა, დაპატიმრებები ხდებოდა არაკორექტულად და ეს ტელევიზიით ხშირად გადაიცემოდა. მხოლოდ ორი მაგალითიც კმარა გასახსენებლად. მერაბ ადეიშვილი წიხლებით და ჯიკავ–ჯიკავით წაიყვანეს დასაკითხად, შალიაკიანი კი პირდაპირ ლოგინიდან წამოაგდეს, კადრები მისი დაპატიმრებისა ტელევიზიაში კარგა ხანს ტრიალებდა.

ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს პარლამენტმა მისივე მოთხოვნით დაამტკიცა კანონი, თუ ადრე უმცირესი და უმაღლესი დანაშაულისთვის პირს უმაღლესის გადაფარვით ასამართლებდნენ, ოქრუაშვილის დროს ეს მუხლი გაუქმდა და შეკრებითობის პრინციპით დაიწყო ადამიანების ციხეში ჩასმა. ბუტარობაქიძის მკვლელობა 2004 წლის 23 ნოემბერს ოქრუაშვილის შს მინისტრობის პერიოდში მოხდა. საზოგადოებას ეს ბარბაროსული აქტი კარგად ახსოვს. 2004 წელს ცხინვალის ასაღებად ოქრუაშვილის გალაშქრება სრული მარცხით დასრულდა. როკის გვირაბს რუსული ტანკები მიადგა, სეპარატისტებმა ქართველი ჯარისკაცები აიძულეს დაეჩოქათ. ოქრუაშვილის ეს თვითნებური გალაშქრება როკის გვირაბის აღების ნაცვლად ქართველი ბიჭების სისხლად და დამცირებად გადაიქცა. რუსულმა მედიამ ოქრუაშვილი მაშინ მონათლა ომის მინისტრად. ფეკალიების სკანდალი მისი ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის შემდეგ ატყდა. სააკაშვილმა დავალება მისცა, რომ ქართული ღვინოების ახალი ბაზარი აეთვისებინა, ამის მაგივრად ოქრუაშვილმა რუსებზე მედიაში ასეთი შეფასება გაახმოვანა: რუსები ფეკალიებსაც კი მიირთმევენ, თუ ასე სურთო. პუტინმაც არ დააყოვნა და ქართველებზე ახალი შეტევები წამოიწყო.

2007 წლის ნოემბერში ირაკლი უკვე პარიზს აფარებდა თავს, როცა თბილისში ხალხმრავალი მიტინგები სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით იმართებოდა, ოქრუაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა ვანო მერაბიშვილს. მიტინგს დაგიშლით, თუ პრემიერ–მინისტრად დამნიშნავთო, ითხოვდა. ირაკლი პრემიერად არავის დაუნიშნავს, ნოემბრის აქციები კი შვიდ რიცხვში დარბევით დასრულდა.

2009 წლის 9 აპრილს ოქრუაშვილს რადიკალური გეგმა ჰქონდა, ის მიიჩნევდა, რომ მთელ ოპოზიციურ სპექტრს მისი სცენარით უნდა ემოქმედა, ოქრუაშვილის სცენარის მიხედვით მომიტინგეებს სამთავრობო შენობების პიკეტირება უნდა დაეწყოთ, მოეხდინათ დედაქალაქის სრული პარალიზება, მომიტინგეები პარლამენტში უნდა შევარდნილიყვნენ, მერე კი ოქრუაშვილიც დაბრუნდებოდა და ჩაიბარებდა ქვეყნის მართვას. ეტყობა ეს სცენარი მაშინ სააკაშვილისთვისაც ცნობილი იყო, პარლამენტი ფაქტობრივად დაცარიელდა, უმრავლესობამ მერიაში გადაინაცვლა. ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ პარლამენტიდან მერიაში მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილების გამო გადავიდნენ.

როგორია დღევანდელი ვითარება? „ახალ თაობას“ წყარომ ახალი გეგმის შესახებ აცნობა. გამომდინარე იქიდან, რომ „ქართული პარტიიდან“ სუბარის წასვლის შესახებ ცნობა ამავე წყარომ შეგვატყობინა, რაც გამართლდა, იმავე წყაროზე დაყრდნობით ამ გეგმასაც გაგაცნობთ. ალექსანდრე ებრალიძე საქართველოს მოქალაქეობის მიღებისათვის ისევ იღწვის. ამჯერად ის ივანიშვილის სასამართლო პროცესს ელოდება და ივანიშვილისთვის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ამ საკითხს ისევ დასვამს. შეეცდება წამებულის მანტიის მორგებას. ამასობაში, წყაროს ინფორმაციით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ებრალიძესა და ოქრუაშვილს შორის, განიხილება ახალი დაფინანსების წყაროების მიზიდვის საკითხი, ოქრუაშვილისა და ებრალიძის მოლაპარაკებების პარალელურად „მაესტროს“ ხელში ჩაგდებისთვის ეროსი ყველა ღონეს ხმარობს. ეს მცდელობაც ებრალიძის ფაქტორთან არის მიბმული. თუ ებრალიძე საარჩევნო მარათონში ჩაბმას შეეცდება, მას ტელევიზიაც დასჭირდება. ასეთია ამ ახალი გეგმის კონტურები. ოქრუაშვილისა და კიწმარიშვილისთვის ეს ბოლო გაბრძოლებაა. ან გამარჯვება ან სიკვდილი, ამ დევიზის თანახმად მოქმედება რა შედეგს მოუტანს ეროსის და ირაკლის, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, საზოგადოებამ „ქართული პარტია“ უკვე ჩაწერა მომაკვდავთა რიგებში.

# კალანდაძეს რუსეთში ჩატარებული არჩევნების არ სჯერა

ნათია ხურცილავა

ნინო კალანდაძე


საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთში გამართულ არჩევნებზე განცხადება გააკეთა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე რუსეთის არჩევნებში დემოკრატიული ძალების გამარჯვებას არ ვარაუდობს.

კალანდაძის განცხადებით, ამ დროისთვის ძალიან ბევრი დარღვევა არის დაფიქსირებული არჩევნებზე.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, დღეს, რუსეთში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ არჩევნებში დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვონ.

– ჯერჯერობით პროცესი დასრულებული არ არის. რუსეთის არჩევნების მთავარი შეფასება მაინც უნდა მივანდოთ საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომლებიც, იმედი მაქვს, რომ თავიანთ საქმიანობას ზეწოლის გარეშე ახორციელებენ. მე ვისურვებდი, რომ დემოკრატიულმა ძალებმა შეძლონ გამარჯვების მოპოვება, თუმცა ეს დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა, – განაცხადა კალანდაძემ.

რუსეთის ფედერაციაში განვითარებული მოვლენები არ არის მისაღები ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროსთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დადებული დასკვნების შემდეგ გააკეთებს უფრო მკვეთრ შეფასებებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ოკუპირებულ რეგიონში განვითარებული მოვლენებიც შეაფასეს.

კალანდაძის განცხადებით, მოქალაქეები წნეხს განიცდიან, განსაკუთრებული ზეწოლა კი ეთნიკურ ქართველებზე ხორციელდება.

კალანდაძე აცხადებს, რომ ეს პროცესი მიუღებელია, როგორც საქართველოსთვის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, მით უფრო მაშინ, როდესაც საერთაშორისო დამკვირვებლებს არ ეძლევათ ოკუპირებულ რეგიონებში შესვლის საშუალება.

– ეს ე.წ. არჩევნები იმთავითვე წინააღმდეგობრივია საერთაშორისო სამართალთან, საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან. შესაბამისად აღიარებას ვერ მოიპოვებს ვერც ოფიციალური თბილისიდან და ვერ საერთაშორისო თანამეგობრობიდან. ე.წ. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილ მოსახლეობას, რომელიც უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას საკუთარი ქვეყნის მომავალზე. მათ შესაძლებლობა არ აქვთ, რომ საკუთარ სახლებში დაბრუნდნენ და ამ პროცესში მონაწილეობა მიიღონ. ნებისმიერი გამოვლენილი ე.წ. გამარჯვებული კანდიდატი რუსეთის მიერ იქნება ხელდასმული. რაც შეეხება გასული დღეების განმავლობაში ოკუპირებულ ცხინვალში მიმდინარე მოვლენებს, ძალიან სამწუხაროა. მით უმეტეს, რომ საქართველოს, ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ არის. ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევებს. საუბარია არალეგიტიმურ, უკანონო სუბიექტების მიერ ძალაუფლების გადანაწილებისა და გავლენის სფეროების მოპოვებისთვის ბრძოლას, – განაცხადა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ოკუპირებულ რეგიონში განვითარებული მოვლენების, პოლიტიკური დაპირისპირების გამო მოსახლეობა არ დაზარალდება.

კალანდაძის განცხადებით, მთელი პასუხისმგებლობა ცხინვალში განვითარებული მოვლენებზე მოსკოვს ეკისრება, რადგან სიტუაციას ცხინვალში სწორედ კრემლი აკონკრეტებს. ამდენად, საერთაშორისო თანამეგობრობამ, კალანდაძის განცხადებით, მათ ზეწოლა რუსეთზე უნდა გააძლიერონ.

გრიგოლ ვაშაძის ვიზიტი ისრაელში უახლოეს მომავალში გაიმართება. აღნიშნული ვიზიტი მას შემდეგ დაიგეგმა, რაც პარეზიდენტმა სააკაშვილმა ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი შეიწყალა.

სანამ ებრაელი ბიზნესმენები სატუსაღოში ქართულ მართლმსაჯულებას უმკლავდებოდნენ, მანამდე ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი ნალოლიავები მეგობრობა ლამის ჩამოიშალა.

ორ ქვეყნას შორის დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის შეწყდა. თბილისში ისრაელის საელჩო ერთი კვირით დაიხურა კიდეც, თუმცა ეს ფაქტი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგალითად, გივი თარგამაძემ საქართველოს ირანთან სიახლოვეს დაუკავშირა.

ებრაული პრესა საქართველოს ელჩის ისრაელში, ისრაელიდან გაშვებასაც კი ითხოვდა. ასევე არსებობს ვარაუდი, რომ მაშინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ისრაელში ვიზიტის გადადების მიზეზი სწორედ ებრაელი ბიზნესმენების საქმესთან იყო კავშირში.

როგორც ცნობილია, აღნიშნული საქმე ორი ქვეყნის ურთიერთობებსაც გასცდა და საქმეში მაღალი დონის დიპლომატებიც კი იყვნენ ჩართულები ჰილარი კლინტონისა და სენატორი ლიბერმანის სახით.

ამდენად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ძალიან დიდი სამუშაო ექნება ამ მიმართულებით ისრაელში შესასრულებელი. გაცივებული დიპლომატიური ურთიერთობების დათბობა, ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანასთან, როგორიც ისრაელია, მთელი ძალისხმევით მოუწევს ვაშაძეს. რამდენად გაართმევს ვაშაძე ამას თავს, ეს აღნიშნული ვიზიტის შემდეგ გამოჩნდება.

# როდის იქნება მზად ვენეციის კომისიის დასკვნა

ნათია ხურცილავა

ვენეციის კომისიამ საქართველოს ახალ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.

ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით 17–18 დეკემბერს გახდება ცნობილი. კომისიის აზრით, საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას შეუწყობს ხელს, თუმცა მასში კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები და რამდენიმე დებულება საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

უფრო კონკრეტულად, კომისიის აზრით, შესწორებას საჭიროებენ შემდეგი ნორმები: ქვეყანაში ცხოვრების ზედმეტად ხანგრძლივი ვადის მოთხოვნის გამო არჩევნებში მონაწილეობისა და კენჭისყრის შეზღუდვა, საარჩევნო ოლქების იმ სახით ფორმირება, რომლითაც თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპი ირღვევა. ისეთი პირობების არარსებობა, რომლებიც დამოუკიდებელ კანდიდატებს შესაძლებლობას აძლევენ, კენჭი იყარონ. მექანიზმების უკმარისობა, რომლებიც ქალებს არჩევნებში მონაწილეობას გაუადვილებს. პოლიტიკური პარტიების და კამპანიების დაფინანსების არასაკმარისი რეგულირება. საარჩევნო საჩივრების გადაჭრის არასაკმარისობა. გარდა ამისა, ვენეციის კომისია ქართველ კანონმდებლებს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის შესაძლებლობის მიცემას ურჩევს.

კომისიას მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეობის არმქონე პირებს ხმის მიცემის უფლება არ აქვთ, ნამდვილად აქვთ უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, შეუერთდნენ და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ დებატებში საარჩევნო კამპანიების დროს. ვენეციის კომისიის შეფასებით, ამგვარი აკრძალვა საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავს და ადამიანის ძირითად უფლებებს ეწინააღმდეგება.

დასკვნის პროექტში ასევე აღნიშნულია, რომ დამკვირვებელთა შეფასებით, ზოგი დებულება, მათ შორის სახელისუფლებო კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რესურსის რეგულაციის შესახებ, არასაკმარისად არის განხორციელებული.

დოკუმენტი 31-გვერდიანია და დეტალურად არის განხილული საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები.

# „ვია 75“-ს ვარსკვლავი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარულ ანსამბლს „ვია 75“ დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნამდე კი ანსამბლმა დარბაზში შეკრებილი მსმენელისთვის ყველა ის ცნობილი ჰიტი შეასრულა, რომელიც მათ რეპერტუარში წლების განმავლობაში ყველაზე პოპულარული იყო. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „75“ მსმენელს საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შეხვდა. ანსამბლის წევრებმა საკონცერტო პროგრამაში სიახლეები არ შეიტანეს, მათ ისევ ძველი სიმღერები იმღერეს, მხოლოდ ახალი არანჟირებით. დიდ საკონცერტო დარბაზში ჟღერდა „თუკი გესიზმრები“, „ენძელა“, „მენატრება ბავშვობა“ — ყველა ის სიმღერა, რომელმაც ანსამბლს არნახული პოპულარობა მოუტანა. საღამოზე ძირითადად გასული საუკუნის 70-80-იანი წლების სიმღერები ჟღერდა.

დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე იდგნენ ბესო კალანდაძე, რომა რცხილაძე, კობა ბეჟიტაშვილი, თემურ რევაზიშვილი, მერაბ სანოძე, გია მაჭარაშვილი. მერაბ სანოძე ანსამბლთან ერთად სცენაზე პირველად გამოვიდა. დარბაზიდან კი ანსამბლს მათი კოლეგები გულშემატკივრობდნენ — კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი, მომღერალი მერაბ სეფაშვილი. თავდაპირველად ანსამბლის წევრები რობერტ ბარძიმაშვილი, კობა ბეჟიტაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, უჩა კორძაია, ბესო კალანდაძე, თემურ რევაზიშვილი, ვაგიფ მუსტაფა ზადე, რომა რცხილაძე და გოჩა ლორია იყვნენ. კონცერტი, რომელიც თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა, ანსამბლის გარდაცვლილი წევრების ხსოვნასაც მიეძღვნა.

„ვია 75“ ბატონმა რობერტ ბარძიმაშვილმა 1975 წელს ჩამოაყალიბა, რომლის ყველა წევრი ახალგაზრდა პროფესიონალი მუსიკოსი იყო. ანსამბლს რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, თუმცა თავისი სათქმელი მაინც უმაღლეს დონეზე თქვა. ერთ წელიწადში გაკეთდა ახალი პროგრამა, დაიდგა როკ-ოპერა, რამაც ანსამბლს დიდი პოპულარობა მოუტანა. 1978 წელს მოხდა მუსიკოსთა ცვლა და ახალი პროგრამის პრემიერა სახელწოდებით „დისკოთეკა“ ყოფილ საბჭოთა კავშირში ცოცხალი შესრულებით, სადაც მაყურებელს შეეძლო ეცეკვა კიდეც. 30 წლის წინ შექმნილი ახალი პროგრამა სახელწოდებით „რეტრო“ მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ანსამბლის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით 6 თვეში 200 კონცერტი ჩატარდა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში. „ვია 75“ მრავალი ფესტივალის და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. ანსამბლმა მოღვაწეობა შეწყვიტა 1986 წელს. ამ წლის იანვარში კი ანსამბლი კვლავ აღდგა და დიდ საკონცერტო დარბაზში მისულ მსმენელს კვლავაც დიდი სიამოვნება მიანიჭა. 35 წლიანი მოღვაწეობა, ასობით კონცერტი და



მილიონობით თაყვანისმცემელი — ასეთია „ვია 75“-ის მონაგარი მათი მოღვაწეობის განმავლობაში.

საიუბილეო კონცერტის დასრულების შემდეგ დიდი საკონცერტო დარბაზის წინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ეს პატივი წილად ბესო კალანდაძეს ხვდა.

**ბესო კალანდაძე, ანსამბლის წევრი:**

— უზარმაზარი შრომა ჩავდეთ ამ კონცერტის მზადებაში. ჩვენს ერთგულ მსმენელთან შესახვედრად დაახლოებით 4 თვის განმავლობაში ვემზადებოდით. მთელი ეს პერიოდი იყო ყოველდღიური რეპეტიციები. სწორედ ამ დაუღალავი შრომის შედეგია თუ კიდევ რამე გამოგვივიდა კარგად. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია, რომ მომავალში რაღაც ახალი გავაკეთოთ. კონცერტი თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა, ხოლო „ვია 75“-ისთვის ვარსკვლავის გახსნის ორგანიზების საკითხები კულტურის სამინისტრომ უზრუნველყო.

**კობა ბეჟიტაშვილი, ანსამბლის წევრი:**

— საოცარი წლები იყო, როცა ჩვენი ანსამბლი ცენზურისა და აკრძალვების მიუხედავად, არავის ეპუებოდა და კონცერტებს სრული ანშლაგებით მართავდა. ეს იყო რთული, მაგრამ მაინც საოცრად კარგი წლები. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გავიდა, ჩვენ მაინც იმ ძველებური შემართებით გამოვედით სცენაზე და როგორც მაშინ, ახალგაზრდა ბიჭებმა, ისე ვიმუშავეთ.

**თემურ რევაზიშვილი, ანსამბლის წევრი:**

— ჩვენ სპეციალურად დავტოვეთ სიმღერების უმეტესობა ძველი ჟღერადობით. გვინდოდა ამ კონცერტზე მოსული საზოგადოება იმ დროში დაგვებრუნებინა, რომ „ვია 75“ მოღვაწეობდა. ეს ვარსკვლავი ჩვენთვის დიდ პატივია. კულტურის სამინისტრომ ღირსად ჩაგვთვალა, რომ ჩვენი სახელობის ვარსკვლავი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გახსნილიყო. მადლობას ვუხდით იმ მსმენელსაც, რომელიც ჩვენს კონცერტზე მოვიდა და ჩვენი ოთხთვიანი დაუღალავი შრომა დააფასა.

**რომა რცხილაძე, მუსიკოსი, ანსამბლის წევრი:**

— ის დრო, როცა „ვია 75“-ში ვმოღვაწეობდი, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან როგორც მუსიკოსი, სწორედ ამ ანსამბლში ჩამოვყალიბდი. პირველივე წამიდან თბილად მიმიღეს ამ დიდ ოჯახში. ამდენწლიანი პაუზის შემდეგ კი ისევ გავერთიანდით, მოვინდომეთ და ჩვენი რეპერუტარი მსმენელს შევთავაზეთ. მადლობა ყველას, ვინც ეს ანსამბლი ვარსკვლავის ღირსად ჩათვალა.

**უჩა კორძაია, ანსამბლის წევრი:**

— საოცარი დღე იყო. ასე მგონია, ჩემს ახალგაზრდობაში დავბრუნდი. როცა „ვია 75“-ში ვმოღვაწეობდით, 22-24 წლის ბიჭები ვიყავით, ახლა კი ბაბუები ვართ, უკვე 60 წელს მივუკაკუნეთ, მაგრამ ამ დღემ ისევ იმ პატარა ბიჭებად გვაქცია, როცა „ვია 75“-ში ვუკრავდით. დიდი მადლობა ყველას, ვინც „ვია 75“-ის შრომა და წარმატებები დააფასა. ეს ვარსკვლავი ჩვენთვის სტიმულია, სულ მალე ახალი ჰიტებით დაგიბრუნდებით.

**მერაბ სეფაშვილი, მომღერალი:**

— ამ კონცერტზე სტუმრის სტატუსით ვიყავი და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ვისიამოვნე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ანსამბლს ყველა თაობის ვარსკვლავი ეწოდა. პირველ რიგში ასეთი დიდი წარმატებისთვის დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველამ ბატონ რობერტ ბარძიმაშვილს, რომელმაც „ვია 75“ შექმნა. ამ გენიალურმა ადამიანმა ორი ლეგენდარული ანსამბლი შექმნა — „ორერა“ და „ვია 75“. პირადად მე, ქედს ვიხრი მისი ნიჭისა და ხსოვნის წინაშე.

**ნეკა სებისკვერაძე, თბილისის მერიის წარმომადგენელი:**

— ამ კონცერტმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. არც კი მეგონა, თუ ამდენწლიანი პაუზის მიუხედავად, ანსამბლის წევრები ასეთ ფორმაში იქნებოდნენ. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ანსამბლი „75“ კიდევ დიდხანს გაუძლებს ისტორიას. თბილისის მერია კი, თავის მხრივ, ყოველთვის მზად არის, მსგავს ღირსეულ პროექტებს მხარდაჭერა აღმოუჩინოს.

# თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

6 დეკემბერს თბილისში საერთაშორისო კინოფესტივალი აიღებს სტარტს. ფესტივალი რუსული ფილმის „ფაუსტის“ ჩვენებით გაიხსნება, რომლის რეჟისორიც ალექსანდრ სოკუროვია. ამ ფილმმა 68-ე ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე ოქროს ლომი მოიპოვა. კინოფესტივალის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, წელსაც მაყურებელს ტრადიციულად უახლესი ევროპული, ამერიკული და ქართული კინემატოგრაფის საუკეთესო ნამუშევრების ჩვენებას შესთავაზებს.



— თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა, რომელიც კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ“ 2000 წელს დააარსა. კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“ 2002 წელს რამდენიმე თანამოაზრემ — გაგა ჩხეიძემ, ნინო ანჯაფარიძემ, ლაშა ბაქრაძემ, დავით ბუხრიკიძემ, ბესიკ დანელიამ, გუგა კოტეტიშვილმა, გაგა ლომიძემ, გიორგი ყაჯრიშვილმა — დავაარსეთ. ცენტრის საქმიანობის მთავარი მიზანი, სხვა პროექტების გარდა, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის შენარჩუნება იყო, რომელიც პირველად 2000 წელს ხელოვნების ფესტივალის „საჩუქრის“ ფარგლებში ჩატარდა. ორი წლის განმავლობაში „საჩუქარს“ ბევრი სპონსორი და მხარდამჭერი ჰყავდა, ამიტომ კინოფესტივალის პროგრამაც ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. როცა „საჩუქარს“ დახურვის საფრთხე დაემუქრა. ამ წელს კინოფესტივალი კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ“ დამოუკიდებლად, მწირი ფინანსებით ჩაატარა. დროთა განმავლობაში „პრომეთემ“ თავისი საქმიანობით სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესებაც შეძლო. თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი კერძო სპონსორებთან ერთად საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა დააფინანსა, მომდევნო წლებში კინოცენტრს თბილისის მერია და კულტურის სამინისტროც შეუერთდა. წლების განმავლობაში ფესტივალს კინოს სამყაროს ბევრი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი სტუმრობდა. 5 დღის განმავლობაში, მაყურებელს შესაძლებლობა ექნება იხილოს ლეო კარაქსის, ფრანსუა ოზონის, როი ანდერსონის, ლივ ულმანის, მაიკ ლის, ალექსანდრ სოკუროვისა და სხვათა ნამუშევრები, თავად შეხვდეს და გაესაუბროს კინოფესტივალის მონაწილეებს სხვადასხვა ქვეყნებიდან — რეჟისორებს, მსახიობებს, პროდიუსერებს. ჩვენ გადავწყვიტეთ, პროდიუსერებისთვის მოვაწყოთ მასტერკლასები. მთლიანობაში კინოფესტივალი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება. გარდა იმისა, რომ დიდ წინაღობას ქმნის რუსეთის საბაჟო, პრობლემა ისიცაა, რომ ქალაქში არ არის მუნიციპალური კინო, არ არსებობს საფესტივალო კინოთეატრი, რაც ჩვენთვის ზედმეტი ხარჯია, რადგან მინიმუმ 20.000 ლარი მარტო კინოთეატრის დაქირავებაშია გადახდილი, — განაცხადა ფესტივალის დირექტორმა ნინო ანჯაფარიძემ.

მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალს ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი ლეო კარაქსია დაესწრება. ის საპატიო სტუმრებს შორის იქნება. ლეო კარაქსის რეტროსპექტივა კინოფესტივალზე შედგება სამი ფილმისგან. ფილმების ჩვენების შემდეგ რეჟისორი შეხვდება კინოპროფესიონალებსა და მაყურებლებს და უპასუხებს მათ კითხვებს. კინოფესტივალზე სტუმრის სტატუსით ჩამოვა წარმოშობით ქართველი რეჟისორი შვედეთიდან ლევან აკინი, რომელიც საქართველოს ეწვევა თავის პროდიუსერ ერიკა სტარკთან ერთად. ის, დამატებითი ჩვენების სახით, მაყურებელს წარუდგენს თავის მოკლემეტრაჟიან სურათს „ბოლო ნივთები“. კინოფესტივალის სტუმარი იქნება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი კინოოპერატორი ქრისტოფერ დოილი. ჰონგ კონგში, ტაივანში, ჩინეთსა და ტაილანდში ქრისტოფერ დოილი აზიური კინოს „ახალი ტალღის“ დამფუძნებლად ითვლება, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ და ამერიკულ კინოზე. საპატიო სტუმრებს შორის იქნება ამერიკელი პროდიუსერი და სცენარისტი ჯიმ სტარკიც, რომელიც უკვე თბილისშია. „ცივი ცხელება“, რომლის პროდიუსერი და სცენარისტი ჯიმ სტარკია, ნაჩვენები იქნება 7 დეკემბერს, კინოთეატრ „ამირანში“ ფესტივალის სპეციალური ჩვენებების პროგრამაში. ჯიმ სტარკი ფილმის შემდეგ ჩაატარებს მასტერკლასს თემაზე „პროდიუსერის შემოქმედებითი როლი დამოუკიდებელ კინოში“.

მერიის 50 ათას ლარიანი დაფინანსების გარდა, კინოფესტივალმა ფინანსური მხარდაჭერა ეროვნული კინოცენტრისგანაც მიიღო. თანხა 30.000 ლარს შეადგენს. როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, შარშან კინოცენტრის დაფინანსება გაცილებით დიდი იყო და საერთო ჯამში შეადგინა 72.000 ლარი. თბილისის მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალზე წარდგენილი ნამუშევრების ჩვენება კინოთეატრ „ამირანში“ მოეწყობა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ფასი 30000 დოლარი. თანხის გადახდა შესაძლებელია 15 თვეში, ყოველ თვეში 2000 დოლარს გადაიხდით. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 300-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# რეგლამენტმა ცხრილი არია

**<u>დინამო – დილა 2:0</u>**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 კოტო (10), 2:0 ჯილაური (21)

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე (ხოჭოლავა 68), პომოლა, გ.ზ.რეხვიაშვილი, თომაშვილი, კვეკვესკირი, ალვარო, ჯილაური, კოტო, კახელიშვილი (ლექვთაძე 61), ჩისკო (იაგუე 74)

**დილა:** შეყრილაძე, ლომიძე (ნემსაძე 82), ქარქუზაშვილი, ბაქრაძე, გველესიანი (ნ.ნოზაძე 46), ვ.ხორგუაშვილი, ჯოჯუა, გოგინაშვილი, დ.ჩაგელიშვილი, რაჟამაშვილი, ახალკაცი (სადაღაშვილი 38)

თბილისის „დინამომ“ 21 წუთში ორი ბურთი გაიტანა და საქმეც იქვე მოილია. ამის შემდეგ გუნდებმა ტაიმი ინერციით ჩაამთავრეს და მატჩსაც თითქოს არ დაეწუნებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე ტიპიური „ქართული ფეხბურთი“ ვიხილეთ – უინტერესო.

რაც უფრო დასასრულისკენ მიდის პირველი წრე, მით უფრო იკვეთება გუნდებს სჭირდებათ თუ არა, კონკრეტულ მატჩში გამარჯვება. ამ წაგებით გორელებს საუკეთესო 8 გუნდში შესვლის შანსი შეუმცირდათ და ეს უკვე „ზესტაფონის“ წისქვილზე ასხამს წყალს. იკითხავთ, „ზესტაფონი“ რა შუაშიაო – იმ შუაშია, რომ „ზესტაფონმა“ შინ 0:4 წააგო გორელებთან და ახლა სულაც არ ადარდებს ის წაგებული – „დილას“ 8 გუნდში მოხვედრა გაუჭირდება, „ზესტაფონს“ კი მინუს 3 ქულა შერჩა. რეგლამენტის უცნაურობაზე სხვა მატჩების გარჩევისასაც გვექნება საუბარი, ახლა დინამო-დილას შესახებ.

როგორც გითხარით, „დინამომ“ საქმე მალე მოილია – უკვე მე-10 წუთზე, ჩისკომ ჭკვიანური და ეფექტური პასით კარლეს კოტო მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ბექა შეყრილაძეს შანსი არ დაუტოვა – 1:0.

21-ე წუთზე, ალვარომ და ჯილაურმა ხალხმრავალ საჯარიმოში მარტივად გაათამაშეს ბურთი, რომელიც ესპანელმა ძლიერად დაარტყა კარში, შეყრილაძემ კი პიდაპირ ჯილაურზე უკუაგდო, რომელმაც შედეგიანად დაამატა – 2:0.

29-ე წუთზე, შეყრილაძემ ორჯერ გადაარჩინა თავისიანები: ჯერ ალვაროს თავური მოიგერია, შემდეგ კი გიორგი რეხვიაშვილის ფეხით დარტყმული.

ტაიმის ბოლოს მომენტი ორივე გუნდს ჰქონდა – ლორიამ შეცვლაზე შესულ ნიკა სადაღაშვილს აუღო ბურთი, მერე კი კოტოს ჩაწოდებულზე ჩისკო ვარდნაში ცდილობდა გატანას და ოდნავ ააცილა.

უინტერესო გამოდგა მე-2 ტაიმი – გუნდები, ფაქტობრივად, იდგნენ მოედანზე და ბურთი საჯარიმოდან საჯარიმომდე მოძრაობდა. გამოსარჩევი მხოლოდ ორი ნახევარმომენტია – ლორიამ მოახერხა და ჩაგელიშვილის დარტყმის შემდეგ, ხელებში შეიმაგრა ბურთი, კარგ პოზიციაში დარჩენილ იაგუეს კი შეყრილაძე დაასწრო, რომელიც კარიდან დროულად გამოვიდა და ესპანელს არ გაატანინა.

**<u>მეტალურგი – ვიტ ჯორჯია 0:0</u>**

**რუსთავი.** ფოლადის სტადიონი

70-ე წუთზე ლუკა რაზმაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, მახვილაძე (გეწაძე 65), კვახაძე, გ.კვარაცხელია, ჯაფარიძე, რაზმაძე, ქავთარაძე (დობროვოლსკი 65), სეთურიძე, მიქაბერიძე (მოდებაძე 53), მაისურაძე, ტატანაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, დ.ხურცილავა, ადამაძე, გოგიაშვილი, ოთარიშვილი (ხუჭუა 46), გურამ გურეშიძე, ვასაძე (კასრაძე 74), კორიფაძე, გიორგი გურეშიძე (მაისაშვილი 60), ზაქრაძე, ჩიმაკაძე



აქაც რეგლამენტით დავიწყებთ: „მეტალურგი“, რომელიც რეგულარულ ჩემპიონატში მე-5 ადგილზეა, ამ ფრეს შემდეგ მეორე ეტაპს შესაძლოა პირველითაც შეხვდეს. სადღეისოდ, ცხრილის ზემოთ მყოფ 8 გუნდში ყველაზე მეტი ქულა სწორედ ქვემოქართლელებს აქვთ მოგროვებული. თუმცა, ვეტერინარებთან მოგების შემდეგ მათი მარაგი უფრო დიდი იქნებოდა, ამიტომ შესაძლოა, ეს დაკარგული ორი ქულა ძვირადაც დაუჯდეს. არადა, რუსთაველები ახლოს იყვნენ მოგებასთან, თუმცა ლუკა რაზმაძეს 11 მეტრიდან გიორგი ძაძამიამ არ გაატანია.

უსაქმოდ არც „ვიტ ჯორჯია“ ყოფილა – ვეტერინარებმა თამაში მხნედ დაიწყეს და ბესიკ ჩიმაკაძეს გოლის გატანის შანსიც ჰქონდა, თუმცაგრიგოლ ბედიაშვიალს ვერ აჯობა.

ერთი-ორი მომენტი „მეტალურგსაც“ ჰქონდა, მაგრამ ვერც მათ ივარგეს. ერთი სიტყვით, მეტნაკლებად თანაბარი თამაში იყო პირველ ტაიმში.

შესვენების შემდეგ „მეტალურგი“ შეტევაში გააქტიურდა, თავის მხრივ „ვიტ ჯორჯიაც“ გადადიოდა იერიშზე, გიორგი ვასაძეს ჰქონდა რიგიანი შანსი, თუმცა ძლიერად ვერ დაარტყა და ბედიაშვილი დაეუფლა ბურთს.

პენალტი კი ყველაზე რეალური შანსი იყო, თუმცა...

75-ე წუთზე უკვე ვიტ ჯორჯიას მიეცა საგოლე შანსი – კართან ახლოს მყოფმა ჩიმაკაძემ ბურთი ბადეში ვერ გადაგზავნა. შემდეგ ისევ გიორგი კორიფაძის ჩაწოდებით ბექა ზაქრაძეს შეეძლო გატანა, მაგრამ მცველმა წამით დაასწრო და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**<u>კოლხეთი – გაგრა 2:3</u>**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონი

0:1, 0:2 შარიქაძე (22, 45), 1:2 ციცხვაია (72), 2:2 ყურულაშვილი (79სკ), 2:3 ნაკონეჩნი (86)

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, გ.კილასონია (წიქარიშვილი 58), ცხვიტარია, ლომაშვილი, ლემონჯავა (მეგრელიშვილი, 46), პ.დათუნაიშვილი, ცხადაია, ქებაძე, გვალია (შავგულიძე 57), მდივნიშვილი, ციცხვაია

**გაგრა:** ბეგაშვილი, ჯგერენაია, ტყეშელაშვილი, ხუციძე, ნაკონეჩნი (ზვიადაძე 90), ჯიშკარიანი, შარიქაძე (ზ.ჩხეტიანი 75), გაბედავა, კალანდაძე, ჯერემია (კვანტალიანი 68), ყურულაშვილი

ორივე გუნდისთვის პრინციპული მატჩი იყო. მოგებული საკმაოდ დიდი შანსიც 8 გუნდში მოხვედრას იბევებდა და ეს უფრო კარგად საქართველოს თასის მფლობელს გამოუვიდა. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ ამაში დიდწილად ფოთელთა მცველები დაეხმარნენ.

22-ე წუთზე ლევან შარიქაძემ საჯარიმოს მისადგომებთან იოლად მიიღო ბურთი, ფოთელებს მისთვის ხელი არც შემდეგ შეუშლიათ და – 0:1. მატჩის პირველი გოლის ავტორს, არც მეორედ გასჭირვებია თავის გამოჩენა – საჯარიმოს მისადგომებთან ლემონჯავა შეცდა და შარიქაძემაც ანგარიშში სხვაობა გაზარდა – 0:2.

მე-2 ტაიმში, „კოლხეთმა“ ძალების სრული მობილიზება შეძლო და მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, ანგარიში გათანაბრდა. ჯერ დათა ციცხვაიამ გაიტანა, მერე კი, პავლე დათუნაიშვილის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი გაგრელმა გიორგი ყურულაშვილმა დაუხვედრა და ავტოგოლი მიითვალა – 2:2.

თითქოს მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. სტუმართათვის გამარჯვების მომტანი გოლიც კუთხურიდან გათამაშებული კომბინაციის შემდეგ გავიდა – 86-ე წუთზე უკრაინელმა ლეგიონერმა მიკოლა ნაკონეჩნიმ ზუსტად შეარჩია ადგილი და თავით ასევე ზუსტად დაჰკრა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა – 2:3.

**<u>ბაია – სპარტაკი 1:3</u>**

**ზუგდიდი.** ბაიას საწვრთნელი ბაზა

0:1 შარაშენიძე (24), 1:1 გუგუჩია (36), 1:2, 1:3 შონია (39, 55)

**ბაია:** სომხიშვილი, ტყემალაძე, გუგუჩია (წურწუმია 62), სიხარულია (ფარჯიკია 70), რიგვავა, სამუშია (ქვარცხავა 73), ეხვაია, აფაქიძე, ენდელაძე, მგელაძე, აკობია

**სპარტაკი:** ძაგანია, თიბილაშვილი, ტეტუნაშვილი, ბოიომო, ნ.მაისურაძე, შალამბერიძე, თ.შონია, ვ.კილასონია (ბურდღლაძე 90), შარაშენიძე (დეკანოიძე 61), ჯიქია (დ.გელაშვილი 87), მეტრეველი

სტუმრებმა ამ შეხვედრაშიც „ოქროს“ ქულები მოიპოვეს და საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრისთვის პრეტენზია განაცხადეს.

ანგარიში ცხინვალელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა თეიმურაზ შარაშენიძემ პირველი ტაიმის შუაში გახსნა, რომელიც ლუკა გუგუჩიამ 36-ე წუთზე გაქვითა. თუმცა, 3 წუთში თეიმურაზ შონიამ თავისიანები მაინც დააწინაურა და შესვენებაზე გუნდები მაინც სტუმართა უპირატესობით გავიდნენ – 1:2.

მე-2 ტაიმის დაწყებიდან 10 წუთი იყო გასული, როცა შონიამ თავი კიდევ ერთხელ გამოიჩინა და როგორც აღმოჩნდა, მატჩის საბოლოო შედეგიც დააფიქსირა – 1:3.

**<u>სიონი – ტორპედო 1:3</u>**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანიას სახელობის მოედანი

0:1 ჯანელიძე (10), 1:1 უგულავა (22), 1:2 თარხნიშვილი (56), 1:3 საბანაძე (66)

**სიონი:** ლობჟანიძე (ზუხბაია 78), ლ.ჩხეტიანი, გ.ოქროპირიძე, სვანიძე, თარგამაძე, გაბრიჭიძე, ისიანი (ხურციძე 85), ქუცურუა, ალავიძე (კობერიძე 69), კემუხტაშვილი, უგულავა

**ტორპედო:** ქვილითაია, ს.თოდუა (მირცხულავა 75), ფოფხაძე, ფარულავა, გურული (შერგელაშვილი 64), დიღმელაშვილი (გოცირიძე 63), კუხიანიძე, იოსელიანი, დ.ჯანელიძე, თარხნიშვილი, საბანაძე

იმავე რეგლამენტით, ეს მატჩი სტუმრებისთვის არაფერს წყვიტავდა, ამიტომ ტორპედოელთა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ექსპერიმენტს მიმართა – რამდენი გამოცდილი ფეხბურთელი დაასვენა და თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებს მისცა.

მატჩის დასაწყისშივე, თავი სტუმართა ახალწვეულმა, დავით ჯანელიძემ გამოიჩინა, რომელმაც მეორედ მოირგო „ტორპედოს“ მაისური. გოლი კი დიდებული სანახავი გამოდგა – მე-10 წუთზე კარიდან დაახლოებით 40 მეტრში მყოფმა ჯანელიძემ საკუთარი საჯარიმოდან მიიღო ბურთი და მოულოდნელად დაარტყა, კარიდან ოდნავ წინ გამოსულმა ლობჟანიძემ რეაგირება ვერ მოახერხა და ულამაზესი გოლი გავიდა – 0:1.

22-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გავიდა ლაშა კემუხტაშვილი, ქვილითაიამ პირველი დარტყმა აუღო, მაგრამ ბურთი უხეიროდ მოიგერია და დამატებაზე ჯაბა უგულავამ იმარჯვა – 1:1.

გარგი სანახავი გამოდგა ტორპედოელთა მეორე გოლიც, რომეც თორნიკე თარხნიშვილის შორეული გასროლის შემდეგ ბოლნისელთა კარის ცხრიანში გაეხვა – 1:2.

მალევე კი ტორპედოელთა უსწრაფესი კონტრშეტევისას კუხიანიძემ ჩინებული პასით მეკარესთან მარტო დარჩენილი საბანაძე მოძებნა, რომელმაც ზუსტად დაარტყა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:3.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 15 | 10 | 2 | 3 | 31:14 | 32 |
| 2.ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29:14 | 32 |
| 3.ტორპედო | 15 | 10 | 1 | 4 | 20:11 | 31 |
| 4.მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19:13 | 26 |
| 5.მეტალურგი | 15 | 7 | 5 | 3 | 20:15 | 26 |
| 6.ბაია | 16 | 7 | 2 | 7 | 18:15 | 23 |
| 7.გაგრა | 16 | 5 | 3 | 8 | 16:21 | 18 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 154 | | 5 | 6 | 13:20 | 17 |
| 9.სპარტაკი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:22 | 16 |
| 10.კოლხეთი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:23 | 13 |
| 11.დილა | 15 | 3 | 2 | 10 | 17:25 | 11 |
| 12.სიონი | 15 | 1 | 4 | 10 | 10:27 | 7 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 9-9 ბურთი;

ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 8.

# კენჭი იყარა – საქართველოს ნაკრები სლოვენიისთვის იბრძოლებს

გერმანიის ქალაქ ფრეისინგში ახლახან დასრულებულ კენჭისყრაზე ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები გაირკვა. მაშ ასე, სლოვენიაში 2013 წელს გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საქართველოს ჯგუფში ამ ნაკრებებთან მოუწევს პაექრობა: ბოსნია, ლატვია, ჰოლანდია და რუმინეთი – ეს ხუთეული დ ჯგუფში განთავსდა.

წინასწარი განთესვით საქართველო უძლიერესთა შორის – პირველ კალათაში მოხვდა სერბეთთან, თურქეთთან, გერმანიასთან, ფინეთთან და ხორვატიასთან ერთად. შესაბამისად, წინასწარ იყო ცნობილი, რომ აღნიშნული ქვეყნები ჩვენს ჯგუფში არ მოხვდებოდნენ.

სხვა ჯგუფებში კი გუნდები ასე გადანაწილდნენ:

**ა ჯგუფი:** სერბეთი, ისრაელი, მონტენეგრო, ესტონეთი, სლოვაკეთი, ისლანდია;

**ბ ჯგუფი:** გერმანია, ბულგარეთი, შვედეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი;

**ც ჯგუფი:** ხორვატია, უკრაინა, უნგრეთი, ავსტრია, კვიპროსი;

**ე ჯგუფი:** ფინეთი, პოლონეთი, ბელგია, შვეიცარია, ალბანეთი;

**ფ ჯგუფი:** თურქეთი, იტალია, პორტუგალია, ჩეხეთი, ბელარუსი;

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 2012 წლის 15 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე ორ წრედ ჩატარდება. საქართველოს ნაკრები აღნიშნულ მეტოქეებთან ამ პერიოდში შინ და სტუმრად თითო-თითო მატჩის გამართავს. შესაბამისად, ჩვენი ნაკრები 8 მატჩს ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს თითო ჯგუფიდან ორი საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს. პლუს ამას, სლოვენიის საგზური 4 საუკეთესო მესამეადგილოსანსაც ერგება.

ბესიკ ლიპარტელიანი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– საშუალო სიძლიერის ჯგუფში მოვხვდით. საქართველო და ბოსნია გამოკვეთილი ლიდერები არიან, დანარჩენი გუნდებიც არ არიან ხელწამოსაკრავნი. ლატვია სწრაფად პროგრესირებადი ნაკრებია და ცხადია, მაქსიმუმს ეცდება. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრის შედეგებით კმაყოფილი ვარ.

ჩვენი ჯგუფის კალენდარი კი ასეთია:

**15 აგვისტო:** ბოსნია-ლატვია; რუმინეთი-ჰოლანდია;

**18 აგვისტო:** საქართველო-რუმინეთი; ჰოლანდია-ბოსნია;

**21 აგვისტო:** ლატვია-ჰოლანდია; ბოსნია-საქართველო;

**24 აგვისტო:** რუმინეთი-ბოსნია; საქართველო-ლატვია;

**27 აგვისტო:** ჰოლანდია-საქართველო; ლატვია-რუმინეთი;

**30 აგვისტო:** ლატვია-ბოსნია; ჰოლანდია-რუმინეთი;

**2 სექტემბერი:** რუმინეთი-საქართველო; ბოსნია-ჰოლანდია;

**5 სექტემბერი:** ჰოლანდია-ლატვია; საქართველო-ბოსნია;

**8 სექტემბერი:** ბოსნია-რუმინეთი; ლატვია-საქართველო;

**11 სექტემბერი:** საქართველო-ჰოლანდია; რუმინეთი-ლატვია;

ეროვნული ნაკრების გარდა, კენჭი სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებსაც უყარეს.

20-წლამდელთა ნაკრებმა გასულ ევროსეზონში დიდ წარმატებას მიაღწია. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ბ დივიზიონი მოიგო. შესაბამისად, ჩვენმა ნაკრებმა ელიტარულ, დივიზიონში თამაშის უფლება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კი, უსტიაშვილის გუნდი ც ჯგუფში მოხვდა ლატვიის, თურქეთისა და ესპანეთის ნაკრებებთან ერთად.

20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 12-22 ივლისს სლოვენიაში გაიმართება.

18-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც მიხეილ ბერუაშვილი წვრთნის, ბ დივიზიონის დ ჯგუფში მოხვდა და მეტოქეებად ჰოლანდია, პორტუგალია, ბელგია და ბოსნია ერგო.

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩები 9-19 აგვისტოს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება.

ბ დივიზიონში გამოდის 16-წლამდელთა ნაკრებიც, რომელსაც გია კაზანჯიანი ავარჯიშებს. კენჭისყრის შედეგად ც ჯგუფში მოხვდა, რომელიც ასე გამოიყურება: მონტენეგრო, საქართველო, რუმინეთი, ბოსნია, ესტონეთი

16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩები 19-29 აგვისტოს რუმინეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება.

# შედეგები

**<u>ფეხბურთი</u>**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-სტოკი ... 0:1
ვულვზი-სანდერლენდი ... 2:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ბირმინგემი ... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-რაიო ... 3:1
სოსიედადი-მალაგა ... 3:2
ოსასუნა-ბეტისი ... 2:1
მალიორკა-ბილბაო ... 1:1
გრანადა-სარაგოსა ... 1:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ალკოიანო ... 3:0
ვალიადოლიდი-დეპორტივო ... 0:0

**იტალია. სერია ა**

კატანია-კალიარი ... 0:1
ბოლონია-სიენა ... 1:0
კიევო-ატალანტა ... 0:0
ფიორენტინა-რომა ... 3:0
იუვენტუსი-ჩეზენა ... 2:0
პარმა-პალერმო ... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ნიურნბერგი ... 2:0
შალკე-აუგსბურგი ... 3:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალემანია-მიუნხენ 1860 ... 2:2
ბოხუმი აუე ... 6:0
დინამო-ფრანკფურტი ... 2:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ნანასი ... 2:0
პსჟ-ოსერი ... 3:2
ლიონი-ტულუზა ... 3:2

**ჰოლანდია. ეპერდივიზიონი**

ფეინოორდი-პსვ ... 2:0
უტრეხტი-ტვენტე ... 2:6
ვიტესი-ვალვაიკი ... 4:0

*ვიტესის მეორე გოლი ვალერი ყაზაიშვილმა გაიტანა*

ჰერენვენი-ალკმაარი ... 5:1

**პორტუგალია. თასი**

მირანდელა-ოლივეირენსე ... 2:1(დდ)
ავეში-ბრავა ... 2:1(დდ)
ტირსენსე-ნასიონალი ... 0:0(3:4პ)
ლეიშეოში-აკადემიკა ... 2:5(დდ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-სელტიკი ... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-შტურმი ... 1:0
ნოიშტადი-ზალცბურგი ... 0:0

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ევერლე ... 0:0
სტანდარდი-გენტი ... 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-თუნი ... 1:0
სერვეტი-ციურიხი ... 0:1
იანგ ბოიზი-სიონი ... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-კერკირა ... 1:0
დოჰა-ქსანთი ... 0:2
არისი-პანათინაიკოსი ... 3:1
იანინა-პაოკი ... 2:2
ლევადიაკოსი-პანიონიოსი ... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ქარაბუქი ... 2:1
ქაისერი-ისთანბული ... 1:0
მერსინი-მანისა ... 0:0
ბურსა-ერჩიესი ... 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ჟიჟკოვი-პრჟიბრჟამი ... 1:2
ბუდეოვიცე-დუკლა ... 3:2
ჰრადეც კრალოვე-ტეპლიცე ... 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-შლიონსი ... 0:2
ვისლა-ვიძევი ... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩევეცი-დნიპრო ... 3:2
ვორსკლა-კარპატი ... 1:1
მერალისტი-ვოლინი ... 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-მიდტიულანდი ... 0:0
კიოგე-ბრონდბიუ ... 1:1
ლუნგბიუ-ჰორსენსი ... 1:2
კოპენჰაგენი-ორხუსი ... 0:0

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-ფიგეირენსე ... 1:1
ატლეტიკო(გ)-ამერიკა ... 5:1
ატლეტიკო(პ)-კურიტიბა ... 1:0
ბაია-სეარა ... 2:1
ბოტაფოგო-ფლუმინენსე ... 1:1
ვასკუ-ფლამენგო ... 1:1
ინტერნასიონალი-გრემიო ... 1:0
კორინთაინსი-პალმეირასი ... 0:0
კრუზეირო-ატლეტიკო(მ) ... 6:1
სან პაულუ-სანტოსი ... 4:1

**არგენტინა. აპერტურა**

ინდეპენდიენტე-ოლდ ბოიზი ... 1:1
ბელგრანო-გოდოი ... 1:1
ბოკა-ბანფილდი ... 3:0

**<u>ხელბურთი</u>**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები**

გერმანია-ჩერნოგორია ... 24:25
კორეა-ყაზახეთი ... 31:19
ნორვეგია-ჩინეთი ... 43:16
რუსეთი-ესპანეთი ... 28:22
ისლანდია-ანგოლა ... 24:28
ჰოლანდია-ავსტრალია ... 53:15

**<u>ჰოკეი</u>**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ანაჰაიმი-მინესოტა ... 3:5
კოლორადო-დეტროიტი ... 4:2
ვანკუვერი-კალგარი ... 5:1

# ადვოკატები მოსამართლეების მხილებას იწყებენ

გულიკო ბალაძე

გუშინ ადვოკატებმა არასამთავრო ორგანიზაცია „სიმართლის რწმენა“ დააარსეს.

იურისტების თანამოაზრეთა ჯგუფმა, გაიოზ ჩარკვიანის, თეიმურაზ სიმონიშვილის, მზია ქასრაშვილის, მალხაზ ლაბაძისა და იაგო გუბელაძის სახელით, ხმამაღალი განაცხადი გააკეთა. ისინი მზად არიან საზოგადოებას, თითოეულ ადამიანს სიმართლის რწმენა დაუბრუნონ. მათი განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიმართლის რწმენა“ მოწოდებულია ემსახუროს ყველა ადამიანს და მოქალაქეთა საზოგადოებრივ ჯგუფებს მათი სამართლიანი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

„სიმართლის რწმენის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თეიმურაზ სიმონიშვილმა განაცხადა, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი პროკურატურისაგან. დღეს კი სასამართლოს მუშაობას პროკურატურა განსაზღვრავს.

– დღესდღეობით მართლმსაჯულებას განსაზღვრავს არა სასამართლო, არამედ პროკურატურა. უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი შედის შუამდგომლობით იგივე აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით თუ სხვა ქმედებებთან დაკავშირებით, რატომღაც ადვოკატის დასაბუთებულ ვარაუდს უარყოფითად პასუხობს პროკურატურა, რომელიც არის მხარე. სასამართლო კი იზიარებს ამას. თუ ჩვენ არ მოვახდინეთ სასამართლოს პროკრატურისაგან გამიჯნვა, ჩვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას არავითარი აზრი არ ექნება. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სასამართლო პროკურატურისაგან დამოუკიდებელი იყოს, – თქვა მან.

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ახალდაფუძნებულ ორგანიზაციას ისეთი სახელი ჰქვია, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას.

– თუ თქვენ მოახერხებთ, რომ ამ სახელის შესაფერისი ორგანიზაცია იყოს და დათესავთ სიმართლის რწმენას, ეს დიდი საქმე იქნება. სიმართლის რწმენის გარეშე ქართული ოცნების ასრულება არ მოხდება. ამიტომ გისურვებთ, ეს რწმენა დაგეთესოთ. – ასე მიმართა გელა ნიკოლაიშვილმა დამფუძნებლებს.

„სიმართლის რწმენის“ პრეზენტაციაზე ალეკო შალამბერიძემ ისაუბრა სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სასამართლოებში გამეფებულ არასახარბიელო სიტუაციაზე, როცა, ფაქტობრივად, სასამართლო პროკურატურის ხელში ქცეულია ნოტარიუსად და საქმეებზე მოსამართლეებს პროკურატურის სურვილის შესაბამისი განაჩენები გამოაქვთ. ამიტომ დღეს ქართული გენოფონდის 80% საპყრობილეშია.

– სამოქალაქო საქმეებზე არ ვსაუბრობ, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, მოსამართლე გამოდის და პირდაპირ უცხადებს მხარეებს, საპროცესო შეთანხმებაზე ხართ თუ არა შეთანხმებულებიო. თუ მხარეები საპროცესო შეთანხმებაზე შეთანხმებული არიან, მაშინ ადვოკატები ხელს აწერენ, ე.ი. ნოტარიუსები ვართ. „დიდი ნოტარიუსი“ ამოწმებს ამ გადაწყვეტილებას. ბედად თუ ავბედითად, ქართული გენოფონდის, თითქმის 80% არის საპყრობილეებში. დღეს საქართველოში დემოკრატიის პრინციპი დარღვეულია, სასამართლო არ არის თავისუფალი. ადვოკატებს აქვთ უამრავი პრობლემა. ამ ორგანიზაციაში იურისტებიც ერთიანდებიან, რათა ერთიანი ფრონტით მოხდეს სამართლებრივი ბაზის შექმნა. დღეს ადამიანებს უჭირთ. ფული რომ არ აქვთ, ვერ მიდიან ადვოკატებთან. ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს კი გადაწყვეტილი აქვთ, უანგაროდ მოემსახურონ იმ მოქალაქეებს, ვინც საკუთარი უფლებების დაცვისთვის იბრძვის. დღეს ადვოკატებს გადაწყვეტილი აქვთ, ამ საქმეში უანგაროდ ჩაერთონ და სიმართლის რწმენით იარონ იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ჰქვია ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, – თქვა მან.



რა არის მთავარი მოტივი, რის გამოც ადვოკატებმა არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსება გადაწყვიტეს და, კონკრეტულად, როგორ შეძლებენ ადამიანებისთვის რწმენის დაბრუნებას, ამაზე თვით ამ ორგანიზაციის დამფუძნებლებს კითხვებით მივმართე..

– საკმაოდ ხმამაღალი განაცხადია, რომ გინდათ ადამიანებს სიმართლის რწმენა დაუბრუნოთ. რა იყო მთავარი მოტივი ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსებისა?

თეიმურაზ სიმონიშვილი:

– არ შეიძლება იყოს ორი სიმართლე. მიუხედავად იმისა, ხალხს სასამართლოსადმი ნდობა დაკარგული აქვს, ჩვენ გვინდა, ეს ნდობა აღვადგინოთ, რომ ხალხი სიმართლისკენ შემობრუნდეს. ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სასამართლოს პროკურატურისაგან გამიჯვნა. თუ სასამართლოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები არ აღმოიფხვრება, ხალხს სასამართლოსკენ გული არ მოუბრუნდება.

– სასამართლოს რეალურ დამოუკიდებლობას როგორ მიაღწევთ?

– ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომელსაც საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანთ. სასამართლოს დამოუკიდებლობას ერთობლივი ძალისხმევით უნდა მივაღწიოთ.

– ამისთვის ხომ მთლიანად სისტემის შეცვლაა საჭირო?

– პირველი გალაშქრება მოხდება სასამართლოსა და პროკურატურაზე. უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის პოლიტიკა.

„სიმართლის რწმენის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, გაიოზ ჩარკვიანის თქმით, ორგანიზაცია დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე იმსჯელებს ისეთ საკითხებზე, რაც ამჟამად აქტუალურია. ისინი ნებისმიერ საკითხს ჩაუღრმავდებიან. მაგალითად, ვეტერანების, სამხედრო, მართლმსაჯულების, საარჩევნო და სხვა საკითხებს, რომელზეც დღეს ბევრს მსჯელობენ.

– ვინ დაგაფინანსებთ?

– რომ გითხრათ, ეს პროვოკაციული შეკითხვაა..

– უბრალოდ, ადვოკატები საკმაოდ დიდ საქმეს შეეჭიდეთ. ამისთვის ხომ დიდი ძალიხმევაა საჭირო?

– არანაირი ძალისხმევა არ სჭირდება. ჩვენ ადვოკატები ვართ. ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებას აწუხებს, ინფორმაციას მოვიპოვებთ და გავავრცელებთ. ხალხი დაინტერესდება და თვითონ მოვა ჩვენთან. კი, წამოწყებულ საქმეს დიდი ძალისხმევა სჭირდება, ფინანსები სჭირდება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ადვოკატები ვართ და ამიტომ საადვოკატო საქმიანობასაც ვერავინ დაგვიშლის.

– ადამიანებს სიმართლის რწმენა რომ დაუბრუნოთ, სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი. ამას კი ქვეყანაში ძირეული ცვლილებები სჭირდება?

– ყველაფერს მივაღწევთ ერთი სიმართლის რწმენით. ქართველ საზოგადოებას სიმართლის რწმენა უნდა დაუბრუნდეს. კოსმოპოლიტური შეხედულებებიდან გამომდინარე, ქართველ ხალხს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რა არის სიმართლე. საქართველოს, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, სიმართლისა და რწმენისთვის იბრძვის.

– დღეს მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს არსებული ხელისუფლების პიარისთვის. თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, დასახულ მიზანს როგორ მიაღწევთ?

– უნდა შევცვალოთ იმიტომ, რომ დღეს ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვულები ვაიოპოზიცია და ხელისფლება. სულ ესენი ხომ არ იქნებიან?

– ვაიპოზიცია ვინ არის?

–ბევრია. ვინ არის, მალე გაიგებთ.

ადვოკატთა ასოცოაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშილი მიესალმა ასეთი ორგანიზაციის შექმნას.

– მივესალმები ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებას, რომელიც დაკავდება იმ უმსგავსობების მხილებით, რაც არსებობს სასამართლო სისტემაში. დღეს ფეოდალი კუბლაშვილი მართავს სასამართლოს. პატარა ფეოდალები არიან მოსამართლეები, რომლებიც სააკაშვილის ბინძური რეჟიმის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა. კიდევ უფრო ბინძურები არიან ის საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით ამერიკული, რომლებიც წერენ, რომ საქართველოში სასამართლოს აქვს 72%-იანი ნდობის მანდატი. თუ ჩვენი ადვოკატები შეძლებენ, სასამართლოში მიმდინარე პროცესების ნეგატიური მხარე გარეთ გამოიტანონ, ან რაღაცნაირად მოსამართლეთა კორპუსი აიძულონ, რომ სამართლიანი სასამართლო იყოს საქართველოში, ეს ძალიან კარგი იქნება.

## ფუკუსიმას პრეფექტურაში ორი მიწისძვრა მოხდა



იაპონიაში გუშინ ღამით ორი მიწისძვრა მოხდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ორივე მათგანი იმ პრეფექტურასთან ახლოს დაფიქსირდა, სადაც ბირთვული ელექტროსადგური „ფუკუსიმა 1“-ია განთავსებული.

პირველი მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი, რომლის სიმძლავრეც 4.4 მაგნიტუდას შეადგენდა, პრეფექტურა მიაგიში დაფიქსირდა, მეორე – 5.1 სიმძლავრის კი, ოდნავ მოგვიანებით, აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხდა.

იაპონიის მეტეორროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, ცუნამის საფრთხე არ წარმოიქმნება.

ავარიული აესის ოპერატორ კომპანიას სადგურის მუშაობაში რაიმე დარღვევებზე ცნობები არ გაუხმაურებია.

ინფორმაცია მსხვერპლის ან ნგრევის შესახებ ჯერჯერობით არ გავრცელებულა.

## ჩინეთში ჩასულ ტურისტებს „ზეცაში გასეირნება“ შეეძლებათ



ჩინეთის „ავატარას“ მთებში, უფსკრულის თავზე მინის ბილიკი გახსნეს – ვისაც სუსტი ნერვები აქვს, აქ ვერ იმოგზაურებს.

ტიანმენის ნაციონალურ პარკში ეს ტურისტებისთვის ახალი ატრაქციონია. ახლა მათ მთის პეიზაჟების სილამაზის გარდა, უფსკრულის თავზე სეირნობის შესაძლებლობაც იზიდავს.

ნაციონალურ პარკში უჩვეულო ბილიკის აგების სამუშაოები გასულ შემოდგომაზე დასრულდა, – იტყობინება ქალაქის საინფორმაციო პორტალი.

„ზეცაში გასეირნებად“ წოდებული ბილიკი, პრაქტიკულად მთლიანად მინითაა აგებული. მარშრუტის სიგრძე სულ 60 მეტრია, თუმცა ამ გზის გავლა ყველას არ შეუძლია.

ბილიკი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უფსკრულზეა ჩამოკიდებული: იგი მთის მწვერვალის სიახლოვეს, ზღვის დონიდან 1430 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

ჭუჭყისა და ბზარებისგან დასაცავად, ბილიკის მნახველებს სთხოვენ, რომ სპეციალური ფეხსაცმელები ჩაიცვან.

## მოსკოვში აჰმად კადიროვის ძეგლი შეურაცხყვეს



მოსკოვში უცნობმა პირებმა ჩეჩნეთის მეთაურის რამზან კადიროვის მამის აჰმად კადიროვის ძეგლი შეურაცხყვეს. მონუმენტზე, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ რაიონშია განლაგებული, ღორის თავები დაალაგეს.

ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ამით ვანდალებმა მუსლიმანები შეურაცხყვეს, ვინაიდან ღორი, მათი რწმენით, უწმინდურ ცხოველად ითვლება.

– ინციდენტი, რუსეთის დუმის არჩევნების დღეს მოხდა, დილის 05:30 საათზე უცნობი პირები აჰმად კადიროვის ძეგლთან მივიდნენ, პაკეტიდან ორი ღორის თავი ამოიღეს და ძეგლზე დაალაგეს. ფაქტზე „ხულიგნობის“ მუხლით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, – წერს რუსული მედია სამართალდამცავებზე დაყრდნობით.

მათივე ინფორმაცით, ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ღორის თავები აიღეს და ახლომდებარე ვიდეოკამერების ჩანაწერი შეისწავლეს.

შეგახსენებთ, რომ აჰმად კადიროვი ჩეჩნეთის ახლანდელი მეთაურის რამზან კადიროვის მამა და ჩეჩნეთის პრეზიდენტი იყო.

თავდაპირველად იგი ჩეჩენ მებრძოლებს უჭერდა მხარს, თუმცა მოგვიანებით ფედერალური ძალების მხარეს გადავიდა. მებრძოლებმა კადიროვს მოღალატე უწოდეს და 2004 წელს 9 მაისის აღლუმზე ტერაქტი მოუწყვეს.

აფეთქების შედეგად აჰმად კადიროვი დაიღუპა. ამ მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ცნობილმა ჩეჩენმა ბოევიკმა შამილ ბასაევმა აიღო.

თავად ბასაევი კი ორი წლის შემდეგ, 2006 წელს ივლისში მოკლეს.

ცნობილია ახმად კადიროვის ციტატებიც, რომლებიც მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნება. კერძოდ, კრემლის წინააღმდეგ მებრძოლო კადიროვი შემდეგი ლოზუნგებით გამოდიოდა:

– ყველა ჩეჩენმა უნდა მოკლას 150 რუსი, აი, მაშინ ჩეჩნეთში ომი დამთავრდება!

– მე არ ვამბობდი 150 რუსზე, მე ვთქვი: რამდენიც გინდა, იმდენი (რუსი) მოკალით.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 4. წინალობა სარბენ ბილიკზე მძლეოსნური შეჯიბრებისას; 5. ლიტვის დედაქალაქი; 6. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 7. კუთხე საქართველოში; 9. ქალაქი-მუზეუმი უზბეკეთში; 13. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 17. შაქრის ლერწმის არაყი; 18. უკრაინული ბორშჩი.

**თარაზულად:** 1. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 3. მთა თბილისში; 8. ტერიტორიული ერთეული ნორვეგიაში; 10. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. გვარის, თემის მეთაური არაბულ ქვეყნებში; 12. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ქარიშხალი ზღვაზე; 15. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 16. სასაზღვრო გამშვები პუნქტი საქართველოში; 19. ყარაყორუმის მთიანეთში მდებარე სიმაღლით მსოფლიოში მეორე მწვერვალი; 20. ბერძნული ცეკვა; 21. აეროპორტი ტოკიოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და კროსვორდის პასუხები:

**სკანვორდი**

1. ქორჭილა; 2. პო; 3. ჟენევა; 4. რუ; 5. იაპონია; 6. ჭიგო; 7. გაზი; 8. არ; 9. იო; 10. ინდონეზია; 11. ნეფე; 12. ხმალი; 13. ინა; 14. მანდ; 15. თარი; 16. აფთარი; 17. ხრიკი; 18. დონ; 19. მაჯამა; 20. სინკოპე; 21. ნუნუ; 22. ნიდაო; 23. ანიზოტროპია; 24. ჯამაგირი; 25. ნაირა; 26. აკრა; 27. კურო; 28. იდალგო; 29. პია; 30. გალა; 31. ოდა; 32. ირიდიუმი; 33. სენიორი.

**სურათებზე:** რიზ უიზერსპუნი; ფილიპო ინძაგი.

**კროსვორდი ა**

**თარაზულად:** 5. ზარდახშა; 6. სტემალითი; 9. იდეალი; 10. ლინონი; 11. თოლია; 13. ნაბლა; 15. კაბარე; 18. მარია; 21. პორტატივი; 22. არქიელი; 23. ყისმათი.

**შვეულად:** 1. კათედრა; 2. მარილი; 3. მელანომა; 4. ლილიფარა; 7. კილვატერი; 8. აპოსტატა; 12. რარიტეტი; 14. პანსიონი; 16. მაქმანი; 17. ღერღილი; 19. სინი; 20. მინა.

# ირანში აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს



ირანის სამხედრო ძალებმა აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელიც ირანის საჰაერო სივრცეს ზვერავდა. „ბი-ბი-სის" ინფორმაციით, ამის შესახებ ირანის ტელევიზია ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდლობაზე დაყრდნობით იუწყება.

– ირანის აღმოსავლეთით სამხედროებმა ჩამოაგდეს ამერიკული უპილოტო რქ-170, – იტყობინება „როიტერი".

– უპილოტომ მცირე დაზიანება მიიღო. ახლა ის სამხედროების ხელში იმყოფება, – განაცხადა წყარომ ირანულ არმიაში. მან ასევე აღნიშნა, რომ „ირანი თავის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევას არ დაუშვებს".

ირანის ხელისუფლებამ დაიმუქრა, რომ საჰაერო საზღვრის დარღვევას „საკუთარი ტერიტორიის გარეთ უპასუხებს". თუმცა, ოფიციალური კომენტარი ირანის ხელისუფლებას ამ დროისთვის არ გაუკეთებია. მომხდარის შესახებ ვაშინგტონშიც არაფერი იციან. ამერიკელმა სამხედროებმა საპასუხოდ განაცხადეს: „არანაირი დადასტურება არ არის, რომ ირანელებმა მათი უპილოტო ჩამოაგდეს.

ამასთან, ავღანეთში ნატოს კონტინგენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა, ირანულ მედიას მხედველობაში აქვს ამერიკული საფრენი აპარატი, რომელიც მისიას ავღანურ ტერიტორიაზე ასრულებდა და გასულ კვირას დაიკარგა, – წერს „ნიუსრუ.ისრაელი".

ამერიკელი სამხედროები არ ეთანხმებიან ირანული მხარის განცხადებას, რომ უპილოტო თვითმფრინავი ჩამოგდებულია. მათი თქმით, შესაძლოა საფრენი აპარატი გაუმართაობის გამო ჩამოვარდა.

მთელ მსოფლიოში ქვეყნების თავდაცვითი სტრუქტურები სულ უფრო ხშირად იყენებენ უპილოტო დაკვირვების აპარატებს. ეს აპარატები სხვადასხვა ტექნოლოგიით მზადდება, თუმცა ახალი უპილოტოს მსგავსი შედევრები, რომელიც აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ლაბორატორიის ინჟინრებმა შექმნეს, ჯერჯერობით იშვიათად გვხვდება.

ერთ-ერთი ლაბორატორიის მეცნიერებმა რაიტ-პატერსონის ავიაბაზაზე ულტრამინიატურული საფრენი აპარატი შექმნეს, რომელიც ჩვეულებრივი ნემსიყლაპიას ანალოგიაა. მანქანის ძირითადი ნაწილის ზომები ციფრული ჩიპის ზომისაა. ამ პატარა კორპუსში მათ მოათავსეს ძრავი, რომელზეც ნამდვილი ნემსიყლაპიას მსგავსი ორი ფრთა დაამაგრეს.

პერსპექტივაში ინჟინრები მიკროსკოპული უპილოტო საფრენი აპარატის კორპუსში კიდევ პატარა კამერის მოთავსებასაც გეგმავენ, რომელიც რეალურ დროში ვიდეოს ტრანსლირებას მოახდენს.

ინჟინრებმა სხვა მიღწევებიც აღნიშნეს. კერძოდ, მათ შექმნეს ზემგრძნობიარე მოძრაობის სენსორი, რომელიც უპილოტოს პოზიციას მაღალი სიზუსტით განსაზღვრავს „დაახლოებით დიუმის მეათედის საზღვრებში", ანუ 2.5 მმ. ლაბორატორია აგრეთვე უფრო დიდ აპარატებზეც მუშაობს, რომლებიც ჩიტების მსგავსად იქნევენ ფრთებს, რათა ჰაერში გადაადგილდნენ. ამისთვის, მეცნიერები ნამდვილი ჩიტების ქცევასა და მოძრაობის მანერას სწავლობენ.

# რუსეთის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგები გამოქვეყნდა

რუსეთის საპარლამენტო არჩევნები ისე წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო.

აბსოლუტური უმრავლესობა პუტინ-მედვედევის პარტიამ და სატელიტმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს.

სახელმწიფო დუმის არჩევნების წინასწარი მონაცემებით, 49,72 პროცენტით „ედინაია როსია" ლიდერობს. ხმების უმრავლესობა უკვე დათვლილია.




დანარჩენ პარტიებზე ხმები ასე გადანაწილდა: კომუნისტური პარტია – 19,13%, პარტია „სამართლიანი რუსეთი" – 13, 03%, „ლიბერალ-დემოკრატიული" პარტია – 12%, პარტია „იაბლოკო" – 3%, ხოლო პარტია „მემარჯვენეებმა" და „რუსეთის პატრიოტებმა" ხმების ერთ პროცენტზე ნაკლები მოაგროვეს.

არჩევნების წინასწარი შედეგები საგანგებო პრესკონფერენციაზე ცესკოს თავმჯდომარემ ვლადიმერ ჩუროვმა გამოაცხადა. ცესკოსგან განსხვავებულია ეგზიტპოლების მონაცემები, რომლის მიხედვითაც მმართველმა პარტიამ 48 პროცენტი დააგროვა.

პირველად შედეგებს უკვე გამოეხმაურნენ „ედინაია როსიას" საარჩევნო შტაბში, სადაც პრემიერმა და პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადეს მხარდამჭერებს. არჩევნები მოსკოვსა და პეტერბურგში ადამიანების დაკავებებსა და საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. ორივე ქალაქში დემონსტრაციებზე აქციის 170-მდე მონაწილე დააპატიმრეს. ომონის გაძლიერებული მეთვალყურეობის მიუხედავად, დემონსტრანტები და ოპოზიციის ნაწილი საარჩევნო პროცესზე დარღვევებისა და არჩევნების არასამართლიან გარემოში ჩატარების გამო, ქუჩაში გამოვიდა.

მოსკოვში საპროტესტო აქცია ერთდროულად რამდენიმე ადგილას გაიმართა. ცნობილი გახდა ოპოზიციონერ სერგეი უდალცევის გაუჩინარების დეტალები. იგი სამართალდაცველებმა დაუმორჩილებლობის გამო 5 დღით დააპატიმრეს.

ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად, საარჩევნო პროცესში მასობრივ დარღვევებსა და ე. წ. „კარუსელების" ფაქტებზე არასამთავრობო ორგანიზაციებიც საუბრობენ. სადამკვირვებლო ორგანიზაცია „გოლოსმა" ქვეყნის მასშტაბით 5300 საჩივარი მოამზადა. ინტერნეტის საშუალებით ფარული კამერით გადაღებული კადრები გავრცელდა, სადაც დარღვევების ფაქტებია აღბეჭდილი. რუსეთში საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები ცნობილი 2 კვირაში გახდება. ცენტრალურ საარჩევნო კომისას ვადა 19 დეკემბრამდე აქვს.

სათათბიროს არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით, სახელისუფლებო პარტიამ „ედიანაია რასიამ" საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა. არჩევნებში პარტიამ იმაზე ნაკლები ხმები დააგროვა, ვიდრე 2007 წელს.

ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატაში „ედინაია რასია", სავარაუდოდ, 450-დან 238 ადგილს მოიპოვებს. შესაბამისი განცხადება ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ ჩუროვმა გააკეთა. კომუნისტებს, სავარაუდოდ, 92 ადგილი ერგებათ, ხოლო „სპრავედლივაია რასიას" 64.

ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას დუმაში 56 ადგილი ერგება.

შესაბამისი პროგნოზი ბიულეტენების 96%-ის დამუშავების საფუძველზე გაკეთდა.

„ედინაია რასიას" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ანდრეი ვორობიოვის განცხადებით, პარტია, რომელმაც არჩევნებში წინასწარი მონაცემებით 49,54% მოიპოვა, მზად არის ოპოზიციასთან ითანამშრომლოს.

– დიახ, ჩვენ გვექნება ბლოკი, დიახ, ჩვენ შევქმნით კოალიციას, როგორც ცალკეულ საკითხებზე, ასევე ჩვენი საქმიანობის სხვა მიმართულებითაც, – განაცხადა ვორობიოვმა.

პარტიის პრეზიდიუმის მდივანმა სერგეი ნევეროვმა კი განაცხადა, რომ „ედინაია რასიას" დუმის სპიკერად კვლავინდებურად აწყობს სერგეი გრიზლოვის კანდიდატურა. პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ „ედიანაი რასიას" აქვს „მორალური უფლება" პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ პუტინის კურსის გასაგრძელებლად.

რუსულ არჩევნებს პირველი საერთაშორისო შეფასებები უკვე მოჰყვა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ეუთოს დამკვირვებლები აცხადებენ, რომ რუსეთში სახელმწიფო დუმის არჩევნებზე ბევრი დარღვევა გამოვლინდა.

მათივე ინფორმაციით, ასევე დაფიქსირებულია ხმის მიცემის პროცესში ხელისუფლების ჩარევის ფაქტები.

განცხადება ამის შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პეტროს ეფტიმიუმ გააკეთა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი" ავრცელებს.

ამას გარდა, ეფტიმიუ ასევე აცხადებს, რომ ხმის მიცემის მოედანი გაუმჯობესდა, ვინაიდან ჩატარდა სატელევიზიო დებატები, რომელშიც ყველა პარტია მონაწილეობდა. აღსანიშნავია, ასევე, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ არჩევნები ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმის არჩევნები 4 დეკემბერს გაიმართა. არჩევნებისთვის რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ 96 ათასი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ნატო და ვახტანგ სირბილაძეები, რძალი გულიკო ჭყოიძე, შვილიშვილი დაჩი, ცოლისდა როდამი, მძახლები ჟუჟუნა მაღრაძე, გივი ჭყოიძე და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სათნო მამულიშვილი

**ნოდარ სირბილაძე**

პანაშვიდი: 6, 7 დეკემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 8 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ვაჩნაძის ქუჩა №7.



მეუღლე ვასილ ლეონიძე, შვილები ცირა და ალიკო ლეონიძეები, სიძე თეიმურაზ ივანიშვილი იუწყებიან

**ქეთევან შველიძის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 6, 7 დეკემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 8 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ქალაქი თბილისი, ა.ქურდიანის ქუჩა №2.



**ზორბეგ ქლენტის უსაზღვრო მონატრება**

ბაბუ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასე სწრაფად წახვიდოდი ჩემი ცხოვრებიდან... შენ ხომ ყველაფერი იყავი ჩემთვის: ბაბუა, მამა, მეგობარი. ხშირად უკვირდათ, შვილიშვილს ბაბუა ასე როგორ უყვარსო. მართლაც, გამორჩეულად მიყვარდი: შენით ვცოცხლობდი, გარეთ გასულს სახლში დაბრუნება მიხაროდა, რადგან შენ მხვდებოდი... უსაზღვროდ მენატრება შენი თბილი ხელები. მიჭირს უშენობა, ბაბუ!

*შენი თათია*

ვახტანგ ლატარია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების, მეტალურგიული მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული სპეციალისტის, უმაღლესი სასწავლებლის კვალიფიციური ლექტორის, თავმდაბალი და პრინციპული სპექტაკი სულის ადამიანის

**შოთა ხოშტარიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სარკოზი და მერკელი ევროკავშირის რეფორმირებას იწყებენ



როგორც ჩანს, ევროზონა დიდი გარდატეხების წინაშე დგას. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ევროკავშირის სტრუქტურის ცვლილების გეგმა წარადგინეს. ამის შესახებ ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, იტყობინება „ბი-ბი-სი". საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, საფრანგეთი და გერმანია ევროპის ახალი ხელშეკრულების ინიციატივით გამოდიან.

– ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს უფრო მჭიდრო ინტეგრაციას და ევროკავშირში უფრო მკაცრ ფინანსურ დისციპლინას დაამყარებს, – განაცხადა სარკოზიმ.

მანვე განაცხადა, რომ ვალების კრიზისმა ევროკავშირის სერიოზული სისუსტეები წარმოაჩინა და უნდა მოხდეს ბლოკის რეფორმირება.

ამ თემაზე დასავლური მედია უკვე წერდა, რომ ევროკავშირის გადარჩენის გეგმამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ორი კვირა იარსება.

ევროკავშირის ორი მთავარი ქვეყანა გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის ქვეყნების ინტეგრაციის ახალ „ორმხრივ მოდელს" განიხილავენ.

დასავლური პრესა უკვე აქტიურად განიხილავს, ელის თუ არა ევროკავშირს „საბჭოთა სცენარით" დანგრევა.

როგორც გორბაჩოვის ეპოქაში, ევროკავშირის „გადარჩენის გეგმები" ერთიმეორეს ენაცვლება.

„როიტერი" აქცენტს ევროზონის შემცირებაზე აკეთებს: „საჭიროა ზუსტად დავადგინოთ მათი სია, ვისაც კლუბში შესვლა არ სურს და კიდევ მათი, ვისაც უბრალოდ არ შეუძლია მისი წევრობა".

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის „ორსიჩქარიანი მოდელი" ახალი არ არის: საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი ამაზე უკვე საუბრობდა. სენსაცია აღარ არის, რომ გერმანია ამ მოდელს უკვე განიხილოს. აღმოსავლეთ ბლოკის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროკავშირმა კურსი მაქსიმალურ გაფართოებაზე აიღო. 2004 წელს ალიანსში ათი სახელმწიფო მიიღეს, მათგან რვა – პოსტკომუნისტურია, სამი წლის შემდეგ – რუმინეთი და ბულგარეთი მიიღეს.

ევროკავშირის ექსტენსიური განვითარების მოდელის მომხრეები ბოლო დრომდე მასში ყველა ბალკანური სახელმწიფოს მიღებას მხარს უჭერდნენ; საუბარია ასევე თურქეთზე, პერსპექტივაში უკრაინაზე, მოლდოვაზე, საქართველოზე და თვით ხმელთაშუაზღვისპირეთის არაბულ ქვეყნებზეც, მაგალითად, ტუნისზე.

ევროკავშირის მთავარი ქვეყნების ახალი პოლიტიკის მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ არა მარტო საბერძნეთის ტიპის პრობლემური წევრები, არამედ სახელმწიფოები, რომლებმაც მასში გაწევრიანება ვერ მოასწრეს.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ევროკავშირის ოქტომბრის გეგმა პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, საბერძნეთის და პერსპექტივაში იტალიის დეფოლტი დღის წესრიგშია, ეს კი ნიშნავს, რომ ევრო საფრთხის ქვეშაა.

– ის, ვინც 1980-იან წლებში საბჭოთა იმპერიის დაცემას აანალიზებდა, დღეს ევროკავშირთან დაკავშირებულ ზოგიერთ ანალოგიებზე ამახვილებს ყურადღებას, – წერდა ფრანგული „ლე მონდი".

– ჩვენ ორივე შემთხვევაში ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის კარგვას ვხედავთ, რასაც ზრდის ეროზია ახლავს, – ამბობს ექსპერტი. – თუ ევრო მოკვდება, მოკვდება კავშირიც. მაგრამ თუ ევრო აღდგება, კავშირის გადარჩენა ამის შემდეგაც გარანტირებული არ არის, – წერდა რუსული „კომერსანტი".

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**სამშაბათი 6 დეკემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. **"ნიკიტა"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** **კალათბურთი**. ევროჩელენჯი. არმია-ბეშიქთაში **21.00** სერ. **"ნიკიტა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **01.50** კავკასუს ლაივი **02.50** მხ. ფილმი **"მედგარი გული"** (12) (ა. ჯოლი) **04.50** მხ. ფილმი **"ნორმალური ცხოვრება"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაულები"** **01.00** მხ. ფილმი **"ნადირობა წითელ ოქტომბერზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **01.40** შუა დღე **03.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **03.30** პატრული **04.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.50** მხ. ფილმი **"სამუშაო"** (15) (დ. ჰანა) **03.50** მხ. ფილმი **"ნედ კელი"** (12) (ჰ. ლეჯერი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მერლინი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "სამშობლოს გარდა არაფერი მაკლდა" **11.00** საღვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ლუარსაბ თათქარიძე"** **13.35** კონცერტი – ნ. დუღაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** **16.15** კონცერტი "აღდგომიდან ამაღლებამდე" **17.30** დოკ. ფილმი "ლელოს შემობრუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"თვალი პატიოსანი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.20** დოკ. ფილმი "გრიგოლ ფერაძე" **22.40** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"გვირაბი"** 1-ლი ნ.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 დეკემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6613 |
| ევრო | 2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7–10, ღამით — 1–3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11–15, ღამით — 7–8

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1–6, ღამით — -10–0

## ამინდის პროგნოზი 6 დეკემბრისთვის








# 30 ნოემბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი - ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## ასტროპროგნოზი 6 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ის საქმე აკეთეთ, რაც სიამოვნებას განიჭებთ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია. **კირჩხიბი** – კითხვა უპასუხოდ დარჩა, გაწუხებთ, მაგრამ ვერაფერს შველით. **ლომი** – თავს მშვიდად და კარგად გრძნობთ. **ქალწული** – დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, პრობლემები არ გექნებათ. **სასწორი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად დაბოლოვდება. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **მერწყული** – საქმე არ შეწყვიტოთ, დრო არ დაკარგოთ. **თევზები** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით ახალი ამბავი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 2. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 4. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 5. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი სარკინიგზო თვითმცლელი ნახევარვაგონი; 11. მყარი ნივთიერების აირისებრ მდგომარეობაში გადასვლა; 12. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 15. ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ფრინველთა პერიოდული გადაფრენის მოვლენებს სწავლობს; 16. საჭმელი სოკო; 17. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 20. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი.

**თარაზულად:** 6. „ფაუსტის“ პერსონაჟი; 7. ხორვატიის დედაქალაქი; 8. მქრქალი, გამჭირვალე ფაიფური; 9. ნუშისებრი ჯირკვლების ანთება; 13. მკაცრი აკრძალვა; 14. ყინულითა და პიტნით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 18. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 19. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 22. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 23. შავი ფერის ალმასი; 24. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ესპანეთმა დევისის თასი მეხუთედ ჩაიბარა



დევისის თასის ფინალში ესპანეთის ნაკრებმა არგენტინა 3:1 დაამარცხა და მეხუთედ მოიპოვა ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო გუნდური ტიტული. ფინალს ესპანური ქალაქი სევილია მასპინძლობდა. გადამწყვეტი გამოდგა 4 დეკემბერს ესპანელ რაფაელ ნადალსა და არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროს შეხვედრა, რომელშიც მასპინძელთა საუკეთესო ჩოგბურთელმა პირველი სეტი 1:6 წააგო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი სეტი მოიგო და საერთო ანგარიში 3:1 გახადა.

ესპანელებს ფინალის პირველი გამარჯვებაც ნადალმა მოუპოვა, მეორე კი დავიდ ფერერის ანგარიშზე მოვიდა. არგენტინელებმა შაბათს წყვილთა შეხვედრა მოიგეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ კვირას ნადალის გამარჯვებამ მეხუთე მატჩის გამართვის აუცილებლობა მოხსნა.

ესპანეთმა სულ მეხუთედ მოიგო დევისის თასი. მანამდე ამ ქვეყნის ნაკრებმა 2000, 2004, 2008 და 2009 წლებში მიაღწია წარმატებას. პირადად ნადალისთვის კი ეს თასი მესამეა, მან საერთო გამარჯვებებში 2004 და 2009 წლებში შეიტანა თავისი წვლილი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## იუმორი



* * *

– ახლა, როგორც წესიერმა მამაკაცმა, თქვენ ჩემზე უნდა იქორწინოთ.

– მე, როგორც წესიერი მამაკაცი, უკვე დაქორწინებული ვარ...

* * *

– რატომღაც ზოგიერთ ქალს არ ესმის, რომ კოსმეტიკა სილამაზის ხაზგასმისათვის გამოიგონეს და არა მის შესაქმნელად...

* * *

– საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ბეჭდვითი სიტყვის გამოცემებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით ფული სარგებლობს...

* * *

– გუშინ პაემანზე იყავი?
– ვიყავი.
– მერე, რას ფიქრობ, როგორია?
– ან ჯენტლმენია, ან სულელი...

* * *

– სამსახურზე ალერგია ხელფასის გაზრდით იკურნება..

* * *

– გავიგე, შენზე ამბობენ ქალები გიჟდებიანო.
– დიახ. იმიტომ რომ ჭკვიანი, კეთილი და ლამაზი ვარ.
– მერე, ცოლი რატომ არ მოგყავს?
– იმიტომ, რომ ჭკვიანი ვარ...

* * *

ბნელ შესახვევში.

– 100 ლარს თუ მომცემთ, ერთი პატივცემული ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენთ.

– თქვენ პატივცემული ადამიანის შტაბეჭდილებას არ ტოვებთ.

– მე თქვენ გგულისხმობდით...

გ. თ.

## მოქმედება თუ განსჯა

**ტესტი**



1. მოგწონთ, როდესაც საქმით ხართ დაკავებული?
2. გაღიზიანებთ საცობები გზებზე და ნელი მგზავრობა?
3. ხშირად თუ იჩქარით ერთი ადგილიდან მეორისკენ, ერთი სამსახურიდან მეორისკენ?
4. არ გსიამოვნებთ, როდესაც გულხელდაკრეფილი ჯდომა გიხდებათ?
5. თვითმხილველობას მონაწილეობა გირჩევნიათ?
6. თუ გიჩივიან, რომ ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებთ?
7. თუ სარგებლობთ კიბით, როდესაც ლიფტი იგვიანებს, თქვენ კი გეჩქარებათ?
8. მოგწონთ ორგანიზატორული საქმიანობა?
9. თუ გიფიქრიათ ოდესმე, საიდან და რატომ გაჩნდა ადამიანი?

### პასუხები

დადებითი პასუხების მიხედვით.

0-3 ქულა: თქვენ მეოცნებე ხართ, მაშინაც კი, როდესაც მოქმედება არის საჭირო, ან ყველაფერი ნათელია, მაინც ფიქრს და განსჯას იწყებთ. არ შეგიძლიათ უბრალოდ საქმე კეთება, თან რაღაცაზე უნდა იფიქროთ.

4-6 ქულა: სიტუაციის მიხედვით, ხან მოქმედებისთვის ხართ მზად, ხან ფიქრისთვის. ურო მეტიც, ასეთი ზომიერი შეხამება პრაქტიკულად ნებისმიერ სიტუაციასთან შეგუების და „მორგების“ შესაძლებლობას გაძლევთ.

7-9 ქულა: განსჯას მოქმედებას ამჯობინებთ, მიგაჩნიათ, რომ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას აქტიური მოქმედება წარმოადგენს. თქვენს მჩქეფარე ბუნებას ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ ხანდახან სიტუაციის გაანალიზებაც არის საჭირო.

გ. თ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი